პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 296 (11300) | ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ომის პერიოდში დანგრეული სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენისა და ბელორუსი ხალხის დიდი მიღწევისათვის მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 22 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

კავშირის საბჭოში

22 დეკემბერს დღის 3 საათზე ...ემლის დიდ სასახლეში დაიწყო ...ავშირის საბჭოს მეორე სხდომა. ...ავმჯდომარეობს კავშირის საბ...ის თავმჯდომარე დეპუტატი **პ. ლობანოვი.**

...პალატის საბიუჯეტო კომისიის ...ანამოხსენებისათვის სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1957 წლის ...ბიუჯეტის შესრულების შესახებ ...ტყვა ეძლევა კავშირის საბჭოს ...ბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. ს. სენინს.**

...959 წელს, ამბობს იგი, საბჭოთა ...ალხი შედის ღირსშესანიშნავ ...ვიდწლედში, რომლითაც იწყება ...ალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის განითარებაში, კომუნისტური ხ...ოგადოების გაშლილი მშენებ...ობის ეტაპი. დიდი ამოცანები, ...ომლებიც დასახულია ამ შვიდ...ლედში სახალხო მეურნეობის ...ემდგომი განვითარებისა და ...შრომელთა მატერიალური კე...ილდღეობის გაუმჯობესებისათ...ის. გამოხატულებას პოულობენ ...საბჭოთა კავშირის 1959 წლის ...ახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

საბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, ...ომ სსრ კავშირის 1959 წლის სა...ელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია ...წორად. შეესაბამება სახალხო ...ამეურნეო გეგმას და შემოაქვს ...ინადადება დამტკიცდეს იგი სა...იუჯეტო კომისიის დამატებებითა ...ა შესწორებებით. წინადადებაა ...იუჯეტის შემოსავალი დამატ...ით გადიდდეს 696 მილიონი მა...ეთით.

დეპუტატ ი. ს. სენინს შეაქვს ...ერეთვე წინადადება, რომ დამტ...იცდეს სსრ კავშირის 1957 წლის ...ახელმწიფო ბიუჯეტის შესრუ...ლების ანგარიში.

კამათში პირველი გამოვიდა ...ეპუტატი **ნ. ტ. კალჩენკო** (უკ...აინის სსრ). იგი ლაპარაკობს ...ალხის უდიდეს აღფრთოვანება...ე საბჭოთა კავშირის კომუნის...ტური პარტიის XXI ყრილობისა...თვის მზადებასთან დაკავშირებით. აქტიურად განიხილავენ რა ამხ...ნაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, ამბობს იგი, ჩვენი სამშობლოს მშრომელები იწონებენ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას, რომელიც პარტიამ დასახა მომავალი შვიდწლედისათვის.

ამხ. კალჩენკო იუწყება, რომ უკრაინის სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა ამა წლის სამრეწველო წარმოების გეგმა. მიღებული ყველა მარცვლეული კულტურის ას ფუთზე მეტი მოსავალი. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული შაქრის ჭარხლის წარმოების გადიდებაში. რძისა და ხორცის წარმოებაში.

უკრაინის ეკონომიკის განვითარების მაღალ დონეს ის მოწმობს, რომ უკვე ამჟამად აქ თუჯი, რკინის მადანი, ქვანახშირი, კარაქი და შაქარი ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხოლო ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოების მხრივ უკრაინა თითქმის გაუტოლდა ამერიკის შეერთებული შტატების დონეს.

დეპუტატმა **ხ. ა. არისტანბეკოვმა** თქვა, რომ ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს ჩაბარეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს 950 მილიონ ფუთზე მეტი პური — თითქმის ცხრაჯერ მეტი, ვიდრე იგი აბარებდა საუკეთესო მოსავლიან წლებში ყამირის ათვისებამდე.

მომავალ შვიდწლედში რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 2,7-ჯერ გადიდდება, მნიშვნელოვნად განვითარდება ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მრეწველობა, აგრეთვე საშენი მასალებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისების გზით გადიდდება მარცვლეულის წარმოება.

დასახული გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის, ამბობს ამხ. არისტანბეკოვი, საჭიროა უზრუნველყოთ მეურნეობის მთელი არსებული რეზერვების გამოყენება და განვახორციელოთ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი. ორატორს შეაქვს წინადადება — დამტკიცდეს წარმოდგენილი ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით.

დეპუტატი **ი. დ. მუსტაფაევი,** (აზერბაიჯანის სსრ) ამბობს, რომ ბიუჯეტი მთლიანად უზრუნველყოფს თვითეული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსებას, და შეაქვს წინადადება დამტკიცონ იგი.

მთელი მსოფლიოსთვის კარგად არის (ცნობილი, ამბობს ამხ. მუსტაფაევი, საბჭოთა მთავრობის არაერთგზისი წინადადებანი, რომელთა მიზანია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ჩვენი რესპუბლიკა ირანისა და თურქეთის ახლო მეზობელია, რომელთა მმართველები თავიანთი ქვეყნების ტერიტორიას თმობენ ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის.

შეიძლება მოვაგონოთ ჩვენს მეზობლებს, რომელნიც სხვადასხვა სამხედრო პაქტს დებენ იმპერიალისტურ ქვეყნებთან, ინდოელი ბრძენის სიტყვები, რომელიც ეუბნებოდა ერთ ინდოელ ქალიშვილს კოლონიზატორთა ხრიკებისაგან. ეუბნება: „თუ მან ხელი ჩამოგართვას. შემდეგ აუცილებლად შეამოწმე. ყველა თითი შეგრჩა თუ არა ხელზე“.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **ნ. ი. სმირნოვი** (ქ. ლენინგრადი) იგი ლაპარაკობს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ შექმნა უფრო შეთანხმებული მუშაობის პირობები. მას წინადადება შეაქვს გაძლიერდეს ადგილობრივი საბჭოების როლი საწარმოთა ფინანსური საქმიანობის კონტროლში.

ამჟამად ლენინგრადში. განაგრძობს ამხ. სმირნოვი, 101 საპროექტო-საკვლევი ორგანიზაციაა. ისინი დიდი მოცულობის საპროექტო სამუშაოს ასრულებენ ლენინგრადს დაშორებულ ადგილებში მდებარე მშენებლობებისათვის. მეორე მხრივ ლენინგრადის საწარმოებისათვის ბევრ პროექტს ამზადებენ მოსკოვში, ყაზანსა და სხვა ქალაქებში განლაგებული ორგანიზაციები. ყოველივე ეს სახელმწიფო სახსრების დიდ ხარჯვას იწვევს. ორატორის წინადადებაა დაუახლოონ საპროექტო ინსტიტუტები დაპროექტების ადგილებს და სამეურნეო ანგარიშიანობაზე გადაიყვანონ ისინი.

დეპუტატმა **ა. ა. ალიმოვმა** (უზბეკეთის სსრ) თავისი გამოსვლა მიუძღვნა უდიდეს ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ გარდაქმნებს, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოხდა უზბეკეთში. სამრეწველო წარმოება რესპუბლიკაში საბჭოთა ხანაში 50-ჯერ გაიზარდა. მომავალ შვიდწლედში უზბეკეთის სსრ ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იქნება. უზბეკეთის მინდვრების მშრომელებმა, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა. წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 2.940 ათასი ტონა ბამბა.

დასასრულ ორატორს შეაქვს წინადადება დაამტკიცონ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

კავშირის საბჭოს საღამოს სხდომაზე ამ. აგრეთვე გამოვიდნენ დეპუტატები **პ. ვ. კოვანოვი** (საქართველოს სსრ). **მ. ი. შუმაუსკასი** (ლიტვის სსრ) და **ა. კახაროვი** (ტაჯიკეთის სსრ).

ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს საღამოს სხდომა მიმდინარეობდა პალატის თავმჯდომარის მოადგილის **პ. გ. ტიჩინას** თავმჯდომარეობით კრემლის თეატრის დარბაზში. თანამოხსენება გააკეთა პალატის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ა. იასნოვმა.**

იგი საბიუჯეტო კომისიის სახელით მოითხოვს დაამტკიცონ 1959 წლის ბიუჯეტი, ამასთან გაადიდონ შემოსავალი 696 მილიონი მანეთით. ითვალისწინებს რა შემოსულ შუამდგომლობებს, საბიუჯეტო კომისიას შეაქვს წინადადება გადიდდეს ასიგნებანი ბიუჯეტის კაპიტალური შეკეთებისათვის 230 მილიონი მანეთით. სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ინვენტარის შეძენისათვის, შენობების მოწყობისა და შეკეთებისათვის 200 მილიონი მანეთით. პალატის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს აგრეთვე შეაქვს წინადადება დაამტკიცონ ანგარიში 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ამხ. იასნოვი ლაპარაკობს საწარმოებში პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების ამოცანებსა და შინაგრეზერვების უკეთ გამოყენების სხვა გზებზე. კერძოდ მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: ჩვენს ქვეყანაში წლის განმავლობაში წარმოებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების ერთი პროცენტით შემცირების გზით შეიძლება დამატებით ავაგოთ 1 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ნ. ე. ავხიმოვიჩს** (ბელორუსიის სსრ). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადება, აღნიშნავს ორატორი, ბელორუსიაში დაემთხვა კიდევ ერთ აღმაფრთოვანებელ მოვლენას — რესპუბლიკისა და მისი კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს.

ამხ. ავხიმოვიჩი ლაპარაკობს, თუ რა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. 1953 წელთან შედარებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აბარებენ და მიყიდვით აძლევენ სახელმწიფოს ორჯერ და უფრო მეტ მეცხოველეობის პროდუქციას; ოთხჯერ გადიდდა სასოფლო სამეურნეო არტელების ფულადი შემოსავალი. ბელორუსიის სახალხო მეურნეობაში მომავალ შვიდწლედში დაბანდებული იქნება 32 მილიარდი მანეთი. რაც თითქმის უდრის დაბანდებას რესპუბლიკის არსებობის ყველა წლის მანძილზე.

ორატორის წინადადებით დამტკიცდეს ბიუჯეტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

გამოდის დეპუტატი **ხ. იბრაგიმოვი** (ტაჯიკეთის სსრ).

რესპუბლიკის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ამბობს იგი, დაპროექტებულია 2.509 მილიონი მანეთის მოცულობით როგორც შემოსავლის, ისე მასავლის ნაწილში. ეს ბიუჯეტი მკაფიოდ მოწმობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებას, იგი ტაჯიკი ხალხის აყვავებისათვის ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვის ახალი გამოვლინებაა.

ამხ. იბრაგიმოვი შემდეგ ეხება ლენინაბადის ოლქის მეურნეობის განვითარებას.

დეპუტატმა **დ. დ. კარაევმა** (თურქმენეთის სსრ) განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში მოკავშირე რესპუბლიკების უთანაბო გასაფართოებლად განხორციელებულმა ღონისძიებებმა და მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამ ხელი შეუწყო მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების გადიდებას. ბიუჯეტის სახსრების ძირითადი მასა ხმარდება მწარმოებლური ძალების შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასა და ქალაქების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ამხ. კარაევი თხოულობს გაადიდონ რესპუბლიკაში კომუნალური მშენებლობისათვის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა. მას მიაჩნია აგრეთვე, რომ უნდა გაუმჯობესდეს მშენებლობათა მომარაგება თუჯის მილებით. ელექტროდანადგართა და სანიტარულ-ტექნიკუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

პოლონეთის დელეგაციასთან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ეჟი ალბრეხტის მეთაურობით

22 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პოლონეთის მშენებელთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ეჟი ალბრეხტი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სტეფანე პეტრუსევიჩი, ეჟი ბოგუში, ვლადისლავ ანჯეევსკი, სტეფანე ხლობოვიცკი, ვალერი ივანოვსკი, კაზიმეჟ ვეიხერტი, მეჩისლავ კატოვიჩი, მიხეილ ზუბელევიჩი.

ნ. ს. ხრუშჩოვს დელეგაციის წევრებთან ჰქონდა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც გაიმართა აზრთა გაზიარება დელეგაციის მიერ იმ ქარხნების დათვალიერების შესახებ, რომლებიც ამზადებენ რკინაბეტონის ნაწარმს გლინვისა და კასეტის ხერხით, დიდი პანელებისაგან სახლების მშენებლობისა და მშენებლობაში მათი შემდგომი ფართოდ გამოყენების შესახებ.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ი. უსტინოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ი. ა. გრიშმანოვი და ი. ვ. ანდრიპოვი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი.

ბროშურად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილება

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილება „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთწელში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“, რომელიც მიღებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო 1958 წლის 19 დეკემბერს.

ბროშურა გამოცემულია მილიონი ტირაჟით. (საკდესი)

შაქარი გეგმის გადამეტებით

ქარელი. (საკ. კორ.). საქართველოს შაქრის კომბინატის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად, შესანიშნავ წარმატებას მიაღწია, 17 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო დავალება.

კომბინატმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 400 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ფხვნილი შაქარი. ამასთანავე თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 4.218 ათასი მანეთის ეკონომია. საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. დახოვსკის, ი. ჩუმაჩენკოს და ს. ჩოჩიშვილის ბრიგადების **კარგი მუშაობა.**

ჩვენი სოფლის შემდგომი აყვავების დიდებული პროგრამა

სამგორის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ აგიტატორი თამარ მესხი მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სიცოცხლეშორცეული საქმე

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჩავჩიძე) წევრები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ახალი ძალით აჩაღებენ შემოქმედებითს შრომას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. მთავრდება 270 ჰექტარი ჩაის პლანტაციის გადაბარება და ფოსფოროვანი სასუქის შეტანა, წარმატებით მიმდინარეობს სასიმინდე ფართობების მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეთა გადაწყვეტილებაა მომავალ წელს ერთიორად გაადიდონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, სიმინდის საშუალო მოსავლიანობა, წველადობა.

მათი გულისთქმა

ფულუკიძე. (ტელეფონით საკ. კორ.). სოფელ გოჩა-ჯიხაიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატმა ი. იობიძემ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალების გაცნობისას განაცხადა: წელს მნიშვნელოვანი გადამეტებით შეგასრულეთ სიმინდის, ჩაის ფოთლის, ყურძნის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის განვითარების გეგმები, 1953 წელთან შედარებით წელს ერთისაამად და უფრო მეტად გაიზარდა ფულადი შემოსავალი და 1.569.687 მანეთი შეადგინა, სამჯერ გაიზარდა შრომადღის ხვედრიც.

1965 წლისათვის ერთიორად გავზრდით მარცვლეულის მოსავალს, ხოლო ჩაის მოსავალს — ერთნახევარჯერ. თვითეული ძროხის წველადობას ავიყვანთ 3 ათას კილოგრამამდე, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე მივიღებთ 200 ცენტნერ რძეს, 120 ცენტნერ ხორცს.

დიდი ცვლილებები

მარნეული. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებას.

— კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის შედეგად ჩვენს ქვეყანაში წარმატებით წყდება სოფლის მეურნეობის განვითარების ამოცანები, — განაცხადა აღმამედლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფ. ბაგიროვმა, — განსაკუთრებით სასიხარულო შედეგებია მიღწეული 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითზე. 1953 წელს ჩვენ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 9 ცენტნერი ხორბალი, წელს კი 20. ასევე ერთიორად და მეტად გადიდდა სიმინდისა და ყურძნის მოსავლიანობა. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლებია მოპოვებული მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

მიღწეული წარმატებებით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. ახლა კოლმეურნეობაში ვადგენთ შვიდწლიან პერსპექტიულ გეგმას და მიზნად ვისახავთ 1965 წლისათვის ერთიორად გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

სასიხარულო სურათი

ახმეტა. (საკ. კორ.). „ხუთი წლის წინათ და ამჟამად“ — ასეა დასათაურებული ზემო ხოდაშნელი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ერთ-ერთი სტენდი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ცნობები გვაუწყებენ, რომ ზემოხოდაშნელები წინათ თითქმის ყველა დარგში ჩამორჩებოდნენ, ვენახი მცირე ჰქონდათ და მასაც არ უვლიდნენ, მოსავალი მცირე მოდიოდა. მეცხოველეობა ხომ თავმინებებული იყო. პირუტყვს მიწურ და უსუფთაო ბინებში ინახავდნენ. საკვებს ცოტას და უხარისხოს ამზადებდნენ. 1953 წელს 250 ტონაზე მეტი სილოსი არ გაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 270 ლიტრზე მეტი რძე ვერ მიიღეს.

1953 წლის ოქტომბერში კოლმეურნეობის საერთო კრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას განიხილავდა. კოლმეურნეებმა არსებული ნაკლოვანებანი გამოამზეურეს, დაგმეს და ყველა დარგის აღმავლობის ღონისძიებანი დასახეს, მის შესასრულებლად ყველა დაირაზმა.

პარტიისა და მთავრობის დიდმა მზრუნველობამ, შრომამ შედეგი გამოიღო. ახლა ხოდაშნელები ყველა დარგით ამაყობენ. წელს თვითეულ ჰექტარ ვენახზე 94,5 ცენტნერი ყურძენი მიიღეს ნაცვლად 55 ცენტნერისა. საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 38 ცენტნერი სიმინდი. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 15 დეკემბრისათვის 1.545 ლიტრი რძე მოწველეს.

კოლმეურნეთა შორის ახალი სიხარული გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ჩხეტიანმა განაცხადა:

— წინანდებურად ჩამორჩენილი აღარა ვართ, მიღწევები ბევრი გვაქვს, მაგრამ ისინი საკმარისად არ მიგვაჩნია. დეკემბრის პლენუმის მასალები დიად ამოცანებს გვისახავენ.

კოლმეურნეთა სახელით ვალდებულებას ვაკისრულობთ მომავალ წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 100 ცენტნერი ყურძენი, სიმინდის საშუალო მოსავლიანობა გავზარდოთ 45 ცენტნერამდე, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 2.000 ლიტრი რძე.

ფართოვდება დიადი თაოსნობა

კომუნისტური შრომის ბრიგადების შეკრება

რუსთავი. 22. (საკ. კორ.). მეტალურგთა სასახლეში თავი მოიყარეს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშამოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, წარმოების მოწინავეებმა. ისინი მოვიდნენ აქ კომუნისტური შრომის ბრიგადების შეკრებაზე.

კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა, ითქვა შეკრებაზე, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ერთი თვის წინ, სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. მასში ახალი ადამიანები ებმებიან.

მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს ინიციატივას, კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის შესახებ, რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს № 2 ღუმელის მებრძმედეთა ბრიგადა არჩილ ძამაშვილის ხელმძღვანელობით.

არჩილ ძამაშვილის თაოსნობას ფართოდ გამოხმაურნენ მ. სპანდარაშვილის, ა. ფანცულაიას, ი. ჯაჯანიძის და მეტალურგთა სხვა ბრიგადები.

შეკრებაზე არჩილ ძამაშვილმა თქვა:

25 ნოემბერს ჩვენს ბრიგადას მიეკუთვნა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. ეს უდიდესი მოვლენაა ბრიგადის წევრების ცხოვრებაში.

ჩვენ წარმატებით ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს და ყოველდღიურად დიდძალ თუჯს ვაძლევთ სამშობლოს. მაგრამ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა, რომ ხელი არ გვეშლებოდეს აუცილებლად საჭირო ნედლეულის უქონლობით. განსაკუთრებით დიდ შეფერხებას განვიცდით მწვანე წიდისა და აგლომერატის ნაკლებობის გამო. ამ საქმეში ქარხნის ხელმძღვანელებმა მეტი დახმარება უნდა აღმოგვიჩინონ.

ცნობილმა მეფოლადემ ამირან ფანცულაიამ კრების მონაწილეებს მოუთხრო, რომ დღეს მის სახელზე მოვიდა სტალინოს მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის საეწეოს წერილი. უკრაინელი მეფოლადე შეჯიბრებაში იწვევს ქართველ მეფოლადეებს — მიხეილ სპანდარაშვილს და ამირან ფანცულაიას. — ამ სახიხარულო ამბავმა, — თქვა ა. ფანცულაიამ, — დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენი ბრიგადის წევრებში. ავიღეთ ვალდებულება, რათა გეგმის ზევით ყოველდღიურად გამოვადნოთ 8 ტონა ფოლადი

მარტენის საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ა. გიფერიძემ წაიკითხა წერილი, რომელიც დღეს გაუგზავნეს ამირან ფანცულაიამ და მიხეილ სპანდარაშვილმა დონბასელ მეტალურგ საეწეკოს, მიიღეს რა მისი გამოწვევა.

შეკრებაზე მიღებულ იქნა მომართვა ქალაქის ყველა საწარმოს კოლექტივებისადმი, რომ დაუღალავად იბრძოლონ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, რომ სანიმუშონი იყვნენ შრომაში, სწავლაში და ცხოვრებაში, როგორც ეს მოეთხოვება კომუნიზმის მშენებლებს.

კომუნისტური შრომის ბრიგადებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც ნოვატორი მეშახტე შოთა კუბლაშვილი ხელმძღვანელობს, დიდი შრომითი აღმავლობაა. დეკემბრის პირველ ნახევარში ბრიგადამ გეგმის გადამეტებენი ერთი ეშელონი ქვანახშირი ამოიღო და საწარმოო დავალება 138,1 პროცენტით გაანაღდა. თვითეული მეშახტე აქ ცვლაში ნორმის ზევით 3 ტონაზე მეტ ქვანახშირს იღებს, ვალდებულება კი მხოლოდ 2,5 ტონის ამოღებას ითვალისწინებს.

ბრიგადა დიდ ყურადღებას აქცევს ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებას. ხის სამაგრი მასალის ხელმეორედ გამოყენებით აქ კარგი შედეგი მიიღეს. დეკემბერში ბრიგადამ დაზოგა სამი კუბმეტრი ხის სამაგრი მასალა, ფეთქებადი ნივთიერება და დიდძალი ელექტროენერგია.

* * *

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის არჩილ ძამაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადაში უკანასკნელ დღეებში ტექნოლოგიური პროცესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. — ოდნავი ხელის შეშლა განვიცადეთ. — ამბობს არჩილ ძამაშვილი. — აგლომერატის უქონლობის გამო. თუმცა დნობა ნორმალურად წარიმართა ნედლეულის სწორი შეზავების შედეგად გამოვუშვით 42 ტონა ზეგეგმითი თუჯი. გაკეთებულია გაზის დიდი ეკონომია.

შეჯამეს არჩილ ძამაშვილის ბრიგადის მიმდინარე წლის მუშაობის შედეგები. თუჯის გამოშვების წლიური გეგმა განაღდებულია 20 დეკემბრისათვის.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

(დასასრული)

რი მოწყობილობით, გადიდდეს ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობის მოცულობა.

დეპუტატმა **ა. ფ. დიორდიცამ** (მოლდავეთის სსრ) თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მეცხოველეობისა და მევენახეობის განვითარების პერსპექტივებს. შვიდწლედში რესპუბლიკაში გაშენდება 350 ათას ჰექტარზე მეტი ბაღი, ვენახი და სხვა მრავალწლოვანი ნარგავები, რომელთა საერთო ფართობი 1965 წლისათვის შეადგენს სულ ცოტა 700 ათას ჰექტარს. ყურძნისა და ხილის წარმოება ოთხჯერ გადიდდება. ამასთან დაკავშირებით ორატორი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა კოლმეურნეობებში გაძლიერებით განვითარდეს სოფლის მეურნეობის ნედლეულის პირველადი გადამუშავების საწარმოები. ეს ადიდებს მოთხოვნილებას საშენ მასალებზე. დეპუტატი სთხოვს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს მათი წარმოებისა და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვის ზრდა.

ამხ. დიორდიცა აკრიტიკებს მთელ რიგ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, კერძოდ ბელორუსიის, ბელგოროდის, ბრიანსკისა და კიროვისას, რომლებიც დროზე ვერ ასრულებენ მოლდავეთის სსრ შეკვეთებს.

ეროვნებათა საბჭოს საღამოს სხდომაზე აგრეთვე გამოვიდნენ დეპუტატები **ი. ტ. ტაჟიევი** (ყაზახეთის სსრ), **გ. პ. ბუტენკო** (უკრაინის სსრ), **მ. ზ. მირზა-ახმედოვი** (უზბეკეთის სსრ) და **ი. ი. პალეცკისი** (ლიტვის სსრ).

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

23 დეკემბერს დილით კრემლის დიდ სასახლეში მომდინარეობდა **ეროვნებათა საბჭოს** სხდომა. თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ტ. ვ. კისელიოვი.** გრძელდებოდა განხილვა საკითხისა სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1957 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

პირველი გამოვიდა დეპუტატი **მ. ი. კუჭავა** (საქართველოს სსრ).

იგი დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ახალ შვიდწლედში საქართველოს სს რესპუბლიკამ უნდა გადაწყვიტოს მევენახეობის შემდგომი განვითარების დიდი ამოცანები. ორატორი აყენებს ვიწროგაბარიტიანი ბაღ-ვენახის ტრაქტორის გამოშვების დაჩქარების საკითხს, ამბობს, რომ შეუსაბამობაა რესპუბლიკაში ხილის წარმოების მოცულობასა და დამამზადებელი ორგანიზაციების ტექნიკურ ბაზას შორის.

ამხ. კუჭავას შეაქვს წინადადება, რომ დამტკიცდეს ჩვენი ქვეყნის 1959 წლის ბიუჯეტი. რესპუბლიკის მშრომელები, ამბობს იგი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა წარმატებით შესრულდება.

დეპუტატი **ვ. კ. კრუმინში** (ლატვიის სსრ) ამბობს, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის წარმატებითი შესრულება საშუალებას იძლევა წლითიწლობით გადიდდეს დანახარჯები სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. მაგალითად, 1950 წელს ლატვიის სსრ ხარჯები განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის შეადგენდა 825 მილიონ მანეთს. წინასწარი მონაცემებით, 1958 წელს ეს ხარჯები შეადგენენ 1.733 მილიონ მანეთს.

ამხ. კრუმინშს მიაჩნია, რომ უნდა გადიდდეს ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენობების რემონტისა და საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის.

გამოდის სსრ კავშირის კულტურის მინისტრი დეპუტატი **ნ. ა. მიხაილოვი.** იგი ხაზს უსვამს ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ მნიშვნელობას კომუნისტურ აღზრდაში.

ამხ. მიხაილოვი ლაპარაკობს მომავალი წლისათვის კულტურის სამინისტროს მიერ დასახული გეგმის შესახებ. განზრახულია გამოშვებულ იქნას 60 ათასი სახელწოდების წიგნი 1.117 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით, 106 მხატვრული ფილმი. აქტიურად განვითარდება მუსიკალური, თეატრალური, სახვითი ხელოვნება.

დეპუტატი **კ. დ. დიკამბაევი** (ყირგიზეთის სსრ) ამბობს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ემზადებიან, რა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, დიდი აღმავლობით მუშაობენ. საწარმოო გეგმებს ასრულებს სახალხო მეურნეობის საბჭოს ყველა საწარმო, გარდა „ყირგიზ-ქვანახშირის“ ტრესტის ზოგიერთი შახტისა. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობამაც. მაგრამ, განაგრძობს ორატორი, რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ნედლი ბამბის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა. ჩამორჩება ხორცის წარმოება. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ყველა მშრომელი ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხ. დიკამბაევი ლაპარაკობს რესპუბლიკის საარსებო საჭიროებაზე — საძოვრების გაწყლიერებაზე, სარწყავი მიწათმოქმედების გაფართოებაზე და სხვ.

გზათა მინისტრი დეპუტატი **ბ. ბ. ბეშჩევი** ამბობს, რომ სამრეწველო წარმოების უდიდესმა მასშტაბმა, სოფლის მეურნეობის მკვეთრმა აღმავლობამ სარკინიგზო გადაზიდვის დიდი ზრდა გამოიწვია. მარტო სამ რკინიგზაზე — ყაზახეთის, ტომსკისა და ომსკის რკინიგზებზე, რომლებიც ყამირი მიწების რაიონებს ემსახურებიან, წელს დაიტვირთა მეტი პური, ვიდრე ჩვენი ქვეყნის ყველა რკინიგზაზე 1953 წელს.

მინისტრი ლაპარაკობს, თუ რა მუშაობა ხორციელდება ტრანსპორტზე ელექტროწევისა და თბოწევის დასანერგავად. წევის რეკონსტრუქციის პროგრამის წარმატებით შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნის სახალხო მეურნეობის საბჭოებს, რომელთა საწარმოები ტექნიკას აწვდიან გზებს. მაგრამ ცალკეული საწარმოები ამუშავებენ მოძრავი შედგენილობის ახალ ნიმუშებს, არ არის მოწყობილი ცვლადი დენის ელექტრომავალთა სერიული გამოშვება, ჯერ კიდევ მაღალია ლოკომოტივთა ღირებულება.

კამათში აგრეთვე გამოვიდნენ დეპუტატები — **მ. ტ. მამედოვი** (აზერბაიჯანის სსრ), **გ. ი. კონდრატიევი** (მურთეის ასსრ) და **ო. მ. ბადდასარიანი** (სომხეთის სსრ).

სხდომა იღებს წინადადებას კამათის შეწყვეტის შესახებ.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲨᲘ

დილის 10 საათზე კრემლის თეატრში გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობს — დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე **ს. კ. კამალოვი.** სიტყვა სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1957 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო ეძლევა დეპუტატ **ნ. ი. ბობროვნიკოვს** (მოსკოვი). 1959 წელს, ამბობს იგი, დასახულია განხორციელდეს მოსკოვის საქალაქო მეურნეობის განვითარების ახალი ამოცანები. გათვალისწინებულია აშენდეს 2,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ეს ნიშნავს, რომ მოსკოვში ერთ წელიწადში აშენდება დაახლოებით 75 ათასი ბინა, ესე იგი ორ-სამჯერ მეტი, ვიდრე შენდება ახლა ბინები კაპიტალისტური ქვეყნების უდიდეს ქალაქებში.

ქალაქ მოსკოვის 1959 წლის ბიუჯეტი შედგენილია საქალაქო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერიალურ, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა შემდგომ დაკმაყოფილებას. საქალაქო მეურნეობის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია ასიგნებულ იქნას ბიუჯეტის 63 პროცენტზე მეტი. სახალხო განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოიყოფა 2.800 მილიონი მანეთი.

შეეხო რა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის სტრუქტურის გამარტივების საკითხებს, ამხ. ბობროვნიკოვი აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფინანსთა სამინისტრომ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშაონ საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის გამარტივებისა და დოკუმენტაციის შემცირების, აგრეთვე სააღრიცხვო სამუშაოთა ფართო მექანიზაციისა და რაციონალიზაციის ღონისძიებანი.

დეპუტატი **ტ. ტ. საზანდარიანი** (სომხეთის სსრ) ახასიათებს რესპუბლიკის 1959 წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტი გათვალისწინებულია 2.816 მილიონი მანეთის ოდენობით — 8,4 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს იყო. გამოიყოფა საჭირო სახსრები მრეწველობის განვითარებისათვის, ახალი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციისათვის, სარწყავი არხებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობისათვის. 1959 წელს რესპუბლიკაში შეიქმნება ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, გაფართოვდება სკოლების, საავადმყოფოების, კლუბების ქსელი.

ამხ. საზანდარიანი მხარს უჭერს წინადადებას, რომ დამტკიცდეს 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

დეპუტატი **ვ. მ. აგაკაევი** (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ) შეეხო რესპუბლიკის მრეწველობის და, კერძოდ, ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარების პრობლემებს. იგი აყენებს საკითხს ახალი სამთამადნო საწარმოების მშენებლობისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გაძლიერების შესახებ ჩრდილოეთ ოსეთში.

ორატორი ამბობს, რომ საჭიროა ეკონომიურ რაიონებში აღმოიფხვრას ენერგომეურნეობის უწყებრივი დაქსაქსულობა. ახლა ყოველი ორგანიზაცია ამ მეურნეობას ავითარებს თავის შეხედულებისამებრ, ანგარიშს არ უწევს მთელი ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს.

დეპუტატ აკაკაევს შემდეგ წინადადება შეაქვს უფლება მიენიჭოთ ადგილობრივ საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს შეიტანონ საჭირო ცვლილებანი შტატებში ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დამტკიცებული რიცხოვნობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში. დასასრულ ორატორი იწონებს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტს, როგორც მშვიდობისა და შემოქმედების ბიუჯეტს.

დეპუტატი **ა. ტ. ვეიმერი** (ესტონეთის სსრ) თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის როლი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში კიდევ უფრო ამაღლდა ეკონომიური რაიონების შექმნასა და რესპუბლიკების უფლებათა შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით.

შემდეგ ამხ. ვეიმერი გამოთქვამს ზოგიერთ წინადადებას, რომელთა მიზანია გამომგონებელთა გასამრჯელოს განსაზღვრისა და ანაზღაურების არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. იგი ეხება აგრეთვე ნაკლოვანებებს საწარმოთა დაგეგმვასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში.

ტრიბუნაზეა გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მრთველი დეპუტატი **ლ. ი. ანანიევა.** იგი აღნიშნავს დიდ ცვლილებებს, რაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მოხდა ამ უძველეს საფეიქრო საწარმოში.

საბჭოთა ადამიანებს, ამბობს დეპუტატი, სურთ ჩაიცვან ლამაზი ქსოვილის ტანსაცმელი, ამიტომ ჩვენ მოველით ქიმიური მრეწველობის მუშაკებისაგან, რათა მეტი რაოდენობით გამოუშვან ლამაზი, გამძლე, მედეგი საღებრები და სხვა ქიმიკატები, რომელთა ნაკლებობასაც ჩვენ ვგრძნობთ, ჩვენი მხრივ კი პირობას ვდებთ გამოვუშვათ კარგი ხარისხის ქსოვილები.

დეპუტატი **პ. ი. მოროზოვი** (ამურის ოლქი) აღნიშნავს, რომ ოლქში ბედნიერად არის შეხამებული შავი, ფერადი და იშვიათი ლითონების მდიდარი მადნების არსებობა უდიდეს ენერგეტიკულ რესურსებთან. გეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს თითქმის ყველა ლითონის მადანი.

ამხ. მოროზოვი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსი აშენდეს მდინარე ზეაზე, რაც საფუძველს ჩაუყრის ახალი დიდი სამრეწველო რაიონის განვითარებას და შესაძლებლობას შექმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ათვისებულ იქნას ზეა-ბურეის ვაკის უდიდესი სივრცეები.

კამათში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა **გ. ფ. ანტოსიაკმა** (მოლდავეთის სსრ), **ნ. ბაირამოვმა** (თურქმენეთის სსრ), **ს. ვ. შევჩენკომ** (ალტაის მხარე), **ვ. გ. ნაბიულინმა** (ბაშკირეთის ასსრ) და **ვ. ი. ევსტროპოვმა** (ორენბურგის ოლქი).

ამით მთავრდება კამათი მოხსენების გამო.

* * *

პირველი საკითხის გამო კამათის დამთავრების შემდეგ პალატების ცალცალკე სხდომებზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ა. გ. ზვერევმა.** ცალცალკე სხდომებზე ერთხმად იქნა დამტკიცებული სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, აგრეთვე მიღებულია დადგენილება სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია შემოსავლის ნაწილში 723.369.159 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში — 707.637.887 ათასი მანეთის ოდენობით.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ Პ. Ვ. ᲙᲝᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ)

ამხანაგო. დეპუტატებო! ყოველ საბჭოთა ადამიანს ახარებს იმის შეგნება, რომ ჩვენი დიადი და ძლიერი სამშობლო კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შედის. სრულდება წინასწარმეტყველური სიტყვები ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა, რომელმაც 1919 წელს თქვა, რომ ახალგაზრდა თაობის ადამიანები დაინახავენ კომუნიზმის აყვავებას და „სრულად ისარგებლებენ რევოლუციონერთა მიერ გაწეული შრომისა და მსხვერპლის ნაყოფით“.

მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით, კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ხელმძღვანელობენ რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, თანამიმდევრულად ახორციელებენ ცხოვრების ყველა დარგში — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. კულტურისა და სახელმწიფო წყობილების დარგში — ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირს აახლოებენ დიად მიზანთან — კომუნიზმთან!

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი შვიდწლედის საკონტროლო ციფრების შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილება საბჭოთა ადამიანებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი გმირობისათვის, ყოველ ჩვენგანში იწვევენ მხურვალე სურვილს მთელი ძალები გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უფრო სწრაფად განვახორციელოთ ეს დიდებული პროგრამა.

განსაცვიფრებელი ცვლილებანი მოხდა მთელ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის შემდეგ, რომლის გადაწყვეტილებებმა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და ენერგიის უმაგალითო აღმავლობა გამოიწვიეს. ეს შეიძლება მკაფიოდ დავასურათოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითითაც.

წარსულისაგან განსხვავებით დღევანდელი საქართველო მაღალინდუსტრიული რესპუბლიკაა. მისი სამთო მრეწველობა იძლევა მანგანუმს, ქვანახშირს, ფერად ლითონებს, ცემენტს. საშენ მასალებს, მეტალურგია აწარმოებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს. ქარხნები უშვებენ მძლავრ ელექტრომავლებს, ზუსტ ჩარხებს. სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რთულ ელექტროტექნიკურ ხელსაწყოებს, სულ სხვადასხვა მოწყობილობას. მილიარდობით მანეთის პროდუქციას იძლევა მსუბუქი და კვების მრეწველობა — ჩაის, ღვინოს, აბრეშუმს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს და ფართო მოხმარების სხვა საქონელს.

შესანიშნავად გაამართლა თავისი დანიშნულება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის განხორციელებულმა გარდაქმნამ. მკვეთრად გაძლიერდა მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი, გადიდდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა მასალების არარაციონალური გადაზიდვა. იმან, რომ ხელმძღვანელობა უშუალოდ მიუახლოვდა საწარმოებს, შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწესრიგებინა მრეწველობის მთელი რიგი დარგებისა და მომარაგებგასაღების ორგანიზაციების სტრუქტურა. მარტო მიმდინარე წლის მმართველობის აპარატის შემცირება მთელ რესპუბლიკაში 100 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნამ განვითარა ინიციატივა წარმოების ახალი რეზერვების გამოსანახავად და გამოსაყენებლად. მაგალითად, თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მუშათა და ინჟინერთა წინადადებით წელს მოიწყო მძლავრი რვაღერძიანი მაგისტრალური ელექტრომავლების წარმოება. ამ ღონისძიებამ რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი დაუზოგა ჩვენს ქვეყანას.

მეორე მაგალითი. კასპის ცემენტის ქარხანაში დასახული იყო მბრუნავი ღუმელის რეკონსტრუქცია. მისი სიმძლავრის გასადიდებლად. ეს ღუმელის ხანგრძლივად შეჩერებას მოითხოვდა. ქარხნის კოლექტივმა იმისათვის, რომ ცემენტის გამოშვება არ შემცირებულიყო, შეიტანა წინადადება რეკონსტრუქციის ნაცვლად თავისი ძალებით დაიდგა ახალი ღუმელი. წინადადება მიღებულ იქნა, და ამჟამად ეს აგრეგატი სწრაფი ტემპით შენდება.

შეიძლება მოვიყვანოთ ათობით ფაქტი, როცა მუშათა და ინჟინერთა ინიციატივით მკვეთრად დიდდება პროდუქციის გამოშვება, იხერგება ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადებანი, რომლებითაც უდიდესი სახსრები იზოგება.

შემიძლია სიხარულით მოვახსენო დეპუტატებს. რომ დღეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის დღეს, საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და წლის დამლევამდე რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას მისცემს ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს მრეწველობის განვითარების ისტორიას არ ახსოვს ასეთი ძლიერი ტემპი. საკმარისია ითქვას, რომ ერთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში იქმნება მრეწველობის მთელი დარგი — ელექტროტექნიკის დარგი, დიდძალი ახალი ქარხნებით. რომლებიც გამოუშვებენ წელიწადში ორ მილიარდამდე მანეთის სხვადასხვა ელექტროტექნიკურ ნაწარმს.

განსაკუთრებულ პერსპექტივებს გვისახავს შვიდწლიანი გეგმა. ამ წლების მანძილზე საქართველოში ახალი ქარხნების, ელექტროსადგურების მშენებლობაში დაბანდებულ იქნება თითქმის 17 მილიარდი მანეთი.

მრეწველობასთან ერთად იზრდება მუშათა კადრებიც. ჩვენს ახალგაზრდობას კარგად აქვს შეგნებული, რომ მისი ადგილია კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში. ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წავიდა ფაბრიკა-ქარხნებში. შახტებში, საკოლმეურნეო ფერმებში. ჩვენ გვაქვს ქარხნები, სადაც მუშათა კოლექტივები მთლიანად შედგება საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობისაგან. რესპუბლიკის საწარმოებში მხურვალედ გამოეხმაურნენ ლენინური კომკავშირის ახალ პატრიოტულ თაოსნობას. რომ შეიქმნას კომუნისტური შრომის ბრიგადები.

ამხანაგო დეპუტატებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა, უდიდესმა ორგანიზატორულმა მუშაობამ, რომელიც შეასრულეს პარტიამ და მთავრობამ, უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა მთელ ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხუთ წელიწადში საქართველოს კოლმეურნეობებმა დახარჯეს თითქმის ორი მილიარდი მანეთი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობისათვის. აშენებულია მეცხოველეობის სადგომები 1200 ათასი სულისათვის, საფრინველე — 850 ათასი ფრთა ფრინველისათვის, თითქმის 1 მილიონი ტონა საერთო ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. დიდი მუშაობა მიმდინარეობს საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციის. წყალმომარაგებისა და კეთილმოწყობისათვის.

ახორციელებენ რა პარტიის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის მშრომელები უკანასკნელ წლებში სწრაფად ავითარებენ სუბტროპიკული და ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოებას. ჩვენ ვერ ვიქონიებთ იმის იმედს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველყოთ საკუთარი პურით. პურს საკმაო რაოდენობით გვაძლევენ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონები. საქართველოს მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი მოვალეობაა მისცენ ჩვენს ქვეყანას რაც შეიძლება მეტი ჩაი, ყურძენი, ციტრუსები, თამბაქო, ეთერზეთოვანი და სხვა ძვირფასი კულტურები.

წელს საქართველოს მეჩაიეებმა მოიყვანეს რეკორდული მოსავალი, მოკრიფეს 130 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ეს თითქმის ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე 1940 წელს და რამდენიმე ათეულჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ პერიოდში. მეჩაიეები ისახავენ ამოცანას — უახლოეს წლებში მთლიანად უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ჩაიზე, იმ უდიდესი დახმარების პირობებში, რომელსაც გვიწევენ პარტია და მთავრობა, ეს საპატიო ამოცანა უთუოდ წარმატებით შესრულდება.

ბევრად მეტი, ვიდრე შარშან, ჩაბარდა სახელმწიფოს ყურძენი, თამბაქო, დაფნის ფოთოლი, ხილი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შენდება ათასობით ჰექტარი ახალი ბაღები და ვენახები. სხვა რესპუბლიკებთან ერთად ჩვენ უნდა მივცეთ ქვეყანას ისეთი რაოდენობით ხილი, ყურძენი, ციტრუსები, რომ სამხრეთის გულუხვი ბუნების ეს ძღვენი საკმარისად იყოს ყოველ საბჭოთა ოჯახში.

აქ, სესიაზე, საჭიროა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვა დამამზადებელი ორგანიზაციების მიმართ, კერძოდ, სამომხმარებლო კოოპერაციის, ცენტროსოიუზის მიმართ. წელს მრავალი ათასი ტონა ხილი და ბოსტნეული დაიკარგა მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე ვერ დაამზადეს, ვერ გაიტანეს და ვერ გადაამუშავეს. განსაკუთრებით ცუდად არის გარეული ხილის დამზადების საქმე. იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეები, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი განთავისუფლებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან, სამომხმარებლო კოოპერაცია ცუდად მომზადებული აღმოჩნდა ამ პროდუქციის შესყიდვისათვის. სამომხმარებლო კოოპერაცია არა მარტო უნდა იყოს საქონლის გამტარებელი სოფლად, არამედ უნდა გახდეს ქალაქებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების ორგანიზატორიც. სამწუხაროდ, ამ ფუნქციას იგი ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ართმევს თავს.

საჭიროა დიდი მასშტაბით გაიშალოს საკონსერვო ქარხნების, ხორცისა და რძის გადასამუშავებელი საწარმოების, მაცივრების, ბოსტნეულისა და ხილის საცავთა მშენებლობა. ამას უნდა მოხმარდეს კოლმეურნეობათა სახსრები.

კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვამ აამაღლა მიწათმოქმედების კულტურა, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას. საქართველოში ყველა მტს-ი რეორგანიზებულია სარემონტო-ტექნიკურ სადგურად, ამასთან მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს ნაყიდი ტექნიკის ანაზღაურების თავიანთი ვალდებულებანი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დადგა დრო კონსტრუქტორებისა და ქარხნების ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ გამოუშვან მანქანები სამთო მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების წარმოებისათვის, რომლებიც მეტისმეტად შრომატევადია. მაგალითად, ერთი ჰექტარი თამბაქოს დამუშავებას სჭირდება 400-ზე მეტი შრომადღე.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მიღწეულია დადებითი შედეგები მეცხოველეობის დარგშიც: გადიდდა ხორცის, რძის. მატყლის წარმოება. მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს საკმაოდ კარგი საკვები ბაზა მეცხოველეობისათვის. ჩადებულია მილიონნახევარი ტონა სილოსი, — ეს თითქმის ათი ტონა სიმინდის სილოსია თვითეულ ძროხაზე. შექმნილია კომბინირებული საკვების მრეწველობა.

მიუხედავად ამისა მეცხოველეობა ჩვენში ჯერ კიდევ ჩამორჩება. ჩვენ მთლიანად ვერ ვიყენებთ არსებულ დიდ შესაძლებლობებს: საქართველოს აქვს დიდი საზაფხულო მთის საძოვრები. საძოვრების კულტურული მდგომარეობის უზრუნველყოფა ბევრად გაადიდებს მეცხოველეობის საკვებ ბაზას. მაგრამ საჭირო სერიოზული დახმარება გაგვიწიონ ისეთი სპეციალური მანქანებით როგორიც არის: საძირკველა, ბუჩქსაჭრელი, ქვის შესაგროვებელი მანქანები, ბულდოზერები და სხვ. სამწუხაროდ ასეთ მანქანებს ჩვენ ძალიან ცოტას ვიღებთ. წელს მეცხოველეობის განვითარების ინტერესებისათვის ჩვენ პირველად განვახორციელეთ ცდა — მასობრივად გადავიყვანეთ ცხვარი ავტომანქანებით ზამთრის საძოვრებზე. სპეციალურად მოწყობილი მანქანებით გადაყვანილია 200 ათასზე მეტი ცხვარი. ამან დიდი ეკონომიური ეფექტი მოგვცა. პირუტყვის გარეკვის ხარჯები რამდენჯერმე შემცირდა, ლაკვიდირებულია სიკვდილიანობა. წინათ გზაში ვკარგავდით დიდძალ ცხვარს, რომ არაფერი ვთქვათ ხორცისა და მატყლის დანაკარგებზე. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ის, რომ მწყემსებმა ახლა თავი დააღწიეს დაუჯერებელ სიძნელეებს, რასაც განიცდიდნენ ისინი ცხვრის გარეკვის დროს გზაფხულზე და ზამთარში.

შეიძლება აღვუთქვათ უმაღლეს საბჭოს, რომ საქართველოს მშრომელები ვადამდე შეასრულებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებს, რომლებიც დაგვისახეს ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და პირადად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგო დეპუტატებო! თუ წინათ, რევოლუციამდე, ამიერკავკასია მწვავე ეროვნული მტრობის არენა იყო, ახლა საქართველო, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკები, სასწაულთმოქმედი ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მაგალითს წარმოადგენს. ახლა ერთიან ძმურ ოჯახში, უაღრესი მჭიდრო მეგობრობის ვითარებაში ცხოვრობენ და შრომობენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხები. საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ, რომელიც მიმდინარე წელს მოეწყო მოსკოვში, თვალნათლივ დაგვაჩვენა, რა შესანიშნავ სიმაღლეებს მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეროვნულმა კულტურამ, რა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ხალხის ტალანტების განვითარებისათვის. რესპუბლიკაში ძირითადად განხორციელებულია საყოველთაო საშუალო განათლება ქალაქებსა და სოფელ ადგილებში.

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნისათვის, ცხოვრებასთან სწავლების კავშირის უზრუნველყოფისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სკოლას უკვე ამჟამად აქვს მჭიდრო კავშირი საწარმოებთან, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შრომითს მომზადებას სწავლასთან შეხამებით.

სწრაფად ვითარდება ჩვენში მეცნიერება. მარტო ამ წელიწადში შექმნილია რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სულ უახლოეს დროში ჩადგება მწყობრში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ატომური რეაქტორი, რომელიც ამიერკავკასიის მეცნიერთა ექსპერიმენტული მუშაობის სამეცნიერო ბაზა იქნება. მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების, კლუბების, კინოთეატრების, სასპორტო ნაგებობათა ქსელი. მოწინავე რაიონების თაოსნობით რესპუბლიკაში გაიშალა კულტურული დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა კოლმეურნეობათა ძალებითა და სახსრებით.

საქართველო სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერაა. ყოველწლიურად ორგანიზებულად, ხოლო ყველაზე მეტად არაორგანიზ

ელექტროენერგია მოძმე აზერბაიჯანიდან

★ ★

თვითეულის კარგი მუშაობით

ჩვენი ტრესტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის თვითეული წევრისათვის სასახელოა იყო დიდი გამარჯვება — მინგეჩაურ — თბილისის ელექტროგადამცემი ხაზის მოკლე დროში აგება. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მშენებლობის ყველა რგოლის შეწყობილმა და გამართულმა მუშაობამ.

ჩვენს კოლექტივში ბევრმა გამოიჩინა თავი. მე გეგმებს სისტემატურად 120-130 პროცენტით ვასრულებდი. განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, რომ ჩემი წარმატება შესაძლებელი გახდა სხვა პროფესიების ადამიანთა მაღალნაყოფიერი მუშაობით. შემდეგებელი უსაქმოდ დარჩება, თუ ავტომძღოლმა თავის დროზე არ გადაზიდა ანძების კვანძები, დეტალები და მოწყობილობა, თუ თავის მოვალეობა კარგად არ შეასრულა ტრაქტორისტმა.

ჩვენს უბანზე განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იშრომეს ვ. სტეპანენკოს და დ. ლაფანაშვილის მემონტაჟეთა ბრიგადებმა. თავი გამოიჩინეს ტრაქტორისტებმა ო. გელაშვილმა და პ. პარშიკოვმა, ავტომძღოლებმა — შ. სუხიშვილმა და ბ. მესროპიანმა.

ჩვენ მოგვეელის ასოთი კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რასაც წარმატებით გავართმევთ თავს მშენებელთა მთელი კოლექტივის შეწყობილი და გამართული მუშაობით.

პ. ვოლკოვი,
შემდეგებელი.

გაბედულება, შემართება

ბავშვობაში მაოცებდა ცაში აღმართული ანძები, მზის სხივზე მოელვარე იზოლატორებით და ანძიდან ანძაზე სერისერ გაბმული მავთულები. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ მომავალში სწორედ იმ ანძების აღმართვაზე და მავთულების — ელექტროსადენების გაყვანაზე ვიმუშავებდი, რომ ელექტრომონტიორობა იქნებოდა ჩემი პროფესია.

ტრესტ „კაველსეტსტროიში" ვმუშაობ უკვე ხუთი წელია. ამ ხნის განძილზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ასობით კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზის აგებაში მივიღე მონაწილეობა. ჩემი პროფესია საქმის ღრმა ცოდნასთან ერთად მოითხოვს გაბედულებას და ფიზიკურ ამტანობას. ელექტრომონტიორს მუშაობა უხდება რვაათასრთულიანი სახლის სიმაღლე ანძაზე. ზაფხულში იქ თაკარა მზე გაცხუნებს, ზამთარში კი წვიმა და თოვლი გასუსხავს. 25-28-მეტრიან ანძაზე განსაკუთრებით გაძნელებულია მუშაობა, როცა მძლავრი ქარი უბერავს.

ჩვენი ელექტრომონტიორების, ჩვენი ტრესტის მთელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გადალახეს ყველა დაბრკოლება და მოკლე დროში შეასრულეს დიდი და რთული სამუშაო, 240 კილომეტრზე გაიყვანეს ელექტროგადამცემი ხაზი. ეს გამარჯვება შრომითი ენთუზიაზმით აღგავფრთოვანებს.

ბ. ტურაშვილი,
ელექტრომონტიორი.

ბ. ტურაშვილი.

ელექტროქსელის მშენებელთა დიდი გამარჯვება

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ცნობები ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, რკინიგზის ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე თავდადებული შრომით მოპოვებულ წარმატებათა შესახებ. ჩვენში ახლა არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც არ იგრძნობოდეს შრომითი აღმავლობა.

ამ დღეებში დიდი გამარჯვება მოიპოვა ტრესტ „კავკაზელექტროსეტსტროის" კოლექტივმა, რომელმაც დაამთავრა მშენებლობა ელექტროგადამცემი ხაზისა მინგეჩაური — თბილისი. „კომუნისტის" თანამშრომელთან საუბარში ტრესტ „კავკაზელექტროსეტსტროის" მმართველმა ამხ. ა. მიქაბერიძემ განაცხადა:

„ჩვენი ტრესტის კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია ელექტროგადამცემი ხაზის ასაგებად. საკმარისია ითქვას, რომ შესრულებულ იქნა 20 ათასი კუბმეტრი მიწის, ხოლო 10 ათასი კუბმეტრი ბეტონის და რკინაბეტონის სამუშაოები; დამონტაჟდა 8.500 ტონამდე ლითონის ნაკეთობა.

ამ ელექტროგადამცემი ხაზის აგებით კარგი საქმე გაკეთდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის. საქართველო მოძმე აზერბაიჯანიდან მიიღებს იაფი ელექტროენერგიის ახალ მძლავრ ნაკადს, ხოლო საქართველოში, წყალდიდობის პერიოდში, როცა რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურები მთელი სიმძლავრით მუშაობენ, იგივე ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოდან ელექტროენერგია გადაეცემა მოძმე აზერბაიჯანს. ახალი ელექტროგადამცემი ხაზის აგება განსაკუთრებით იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ამით მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ენერგოსისტემების გასაერთიანებლად, რაც დასახული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში.

ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის სიგრძე 240 კილომეტრს შეადგენს, აგებულ იქნა სარეკორდო მოკლე დროში — 240 სამუშაო დღეში. ეს დიდი გამარჯვება მოპოვებულ იქნა შრომის კარგი ორგანიზაციით, შრომატევადი პროცესების მექანიზაციით და, რაც

საუბარი ტრესტ „კავკაზელექტროსეტსტროის" მმართველთან ამხ. ა. მიქაბერიძესთან

მთავარია, მშენებლების, ტრესტის მთელი კოლექტივის თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით.

დიდი როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. უკეთესი მაჩვენებლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უბნები, მექანიზებული კოლონები და ცალკეული ადამიანები, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ გამოცდილებას, საერთო ღონისძიებებით სძლევდნენ წამოჭრილ სიძნელეებს, იბრძოლნენ იმისათვის, რომ ყველა უბანს დროზე და მაღალხარისხოვნად შეესრულებინა სამუშაო.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეოთხე უბანმა (უფროსი ა. გიგინეიშვილი) და მერვე მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი გ. ქობულაშვილი, მთავარი ინჟინერი თ. შაგაულიძე). მეოთხე უბანში აღიმართა ელექტროგადამცემი ხაზის პირველი ანძა და ამ უბანმა ყველაზე ადრე — 25 ოქტომბერს დაამთავრა სამუშაოები.

მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითი აჩვენეს მონტაჟის გამოცდილმა ოსტატებმა კარლო ცქიფურიშვილმა და კონსტანტინე ნაროზნიკოვმა. დაუღალავად იმუშავეს აგრეთვე მემონტაჟეებმა სერგო ხაჩიძემ, ივანე დილ ახალკაცმა და სხვებმა.

კარგად იმუშავეს ტრესტის აზერბაიჯანის უბანზე (უფროსი დ. საფაროვი). მათ ხაზის გაყვანის ახალი მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვნად შეამცირეს ხაზის მშენებლობისათვის საჭირო დრო და სამუშაოები ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

დამამთავრებელი სამუშაოები შესრულდა „დიდი ნავთლუღის" ქვესადგურის აგებით. ამ ქვესადგურის მშენებელთა კოლექტივმა ინჟინერ პ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით შესანიშნავი შრომითი ენთუზიაზმი გამოიჩინა, მშენებლობაზე მუშაობდნენ ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ვიდრე იგი წარმატებით არ დამთავრდა.

ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, რომელიც სხტემატურად უზრუნველყოფდა მშენებლობას საჭირო ავტოტრანსპორტით მშენებლებისათვის მექანიზმების, სხვადასხვა სამშენებლო ტექნიკის, მასალებისა და დეტალების მისაწოდებლად.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ დიდი დახმარება, რაც მოძმე აზერბაიჯანის მშრომელებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გაგვიწიეს მუშახელით, იარაღებისა და მექანიზმებისათვის სათავსების გამოყოფით და ა. შ.

„ჩვენი ტრესტის კოლექტივს, — თქვა საუბრის დასასრულს ამხ. ა. მიქაბერიძემ, — დიდი სამუშაოები მოელის მომავალ შვიდწლედში. ეჭვს გარეშეა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლები, რომლებმაც მრავალი წლის მანძილზე დიდი გამოცდილება შეიძინეს, წარმატებით გადაწყვეტენ მომავალი შვიდწლედით დასახულ ყველა ამოცანას.

★ ★

ყურადღება ტექნიკას!

15 წელია ვმუშაობ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე, მონაწილეობა მაქვს მიღებული ასობით კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ცხადია, გარკვეული გამოცდილება შევიძინე. როცა განვლილ მუშაობას გადავავლებ თვალს, ვრწმუნდები, რომ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა კოლექტივის ერთსულოვნებაა. სწორედ ასეთია ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაში მექანიზაციის დიდი როლი, თანამედროვე ტექნიკის გამოყენების დიდ ეფექტიანობაზე. ხუთი-ათი წლის წინათ მუშაობა გაცილებით რბილი იყო და შრომის ნაყოფიერება ბევრად დაბალი, ვიდრე ამჟამად, რადგან მაშინ ჩვენ საჭირო რაოდენობით არ გაგვაჩნდა ტრაქტორები, ავტომანქანები, ავტომაწყობი ნაწილები და სხვა მანქანა-მოწყობილობები და მექანიზმები. ახლა ყველაფერი ეს ჩვენთან საკმარისად არის, რაც წარმატების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

მაგრამ, რა დასამალია, რომ ჩვენ ყოველთვის სათანადოდ ვერ ვიყენებთ ტექნიკას, არ ვიჩენთ მასადმი საჭირო მზრუნველობას, არ ვუფრთხილდებით მანქანა - მოწყობილობას და მექანიზმებს. არის შემთხვევები, როცა ღია ცის ქვეშ ქარსა და წვიმაში ტოვებენ ტრაქტორებს, ავტომანქანებს, ავტომაწყობებს, თავის დროზე არ ახდენენ მათ შეკეთებას. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლებს წინ დიდი სამუშაოები გვაქვს და მსგავს შემთხვევებს ადგილი არ უნდა ექნეს.

ხ. ხაჩიძე,
მემონტაჟეთა ბრიგადირი.



„კავკაზელექტროსეტსტროის" მეოთხე უბანი. სურათზე: მარცხნიდან — მემონტაჟეთა ბრიგადირი სერგო ხაჩიძე, ოსტატი კონსტანტინე ნაროზნიკოვი, უბნის უფროსი აკვსენტი გიგინეიშვილი და ელექტრომონტიორი სულიკო გვრიტიშვილი.

ამბები ადგილებიდან

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავიანთ უკრაინელ მეგობრებს — გენიჩესკის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს საჩუქრად გაუგზავნეს 7 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი.

სკოლის ახალი შენობა გადაეცა საექსპლოატაციოდ თელავში. მისი მშენებლობა 1.600 ათასი მანეთი დაჯდა. სკოლას აქვს სადურგლო და სახელოსნო, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები, კითილმოწყობილი სასპორტო დარბაზი.

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშკვითის მშრომელებმა — საექსპლოატაციოდ გადაეცა საკოლმეურნეო კულტურის სახლის ახალი შენობა, რომელსაც აქვს მაყურებელთა 500-ადგილიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, სტაციონარული ინოფილადგარი.

საკოლმეურნეო ურთიერთდამხმარე სალარო სოფელ ანაგის (ლიენაღის რაიონი) კოლმეურნეობა „შრომაში" 1064 წევრს აერთიანებს. მის ფონდშია 81 ათასი მანეთი, 29 ტონა ხორბალი, 5,5 ტონა სიმინდი და სხვ. სალარომ კოლმეურნეებზე დახმარების სახით უკვე გასცა 19.430 მანეთი, 6.771 კილოგრამი ხორბალი. მუდმივ „მაყოფაზე ჰყავს აყვანილი 32 მოხუცი და ინვალიდი კოლმეურნე.

მოძმე რესპუბლიკებში

კომუნისტური კულტურის უნივერსიტეტი

ოდესის შაქარ-რაფინადის ქარხანაში კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდებისათვის იბრძვის შვიდი ბრიგადა. ქარხნის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საქარხნო კომიტეტთან ერთად ახალგაზრდა მუშების დასახმარებლად ქარხნის კლუბთან შექმნეს კომუნისტური კულტურის უნივერსიტეტი. მსმენელები აქ ეცნობიან საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, მედიცინის მიღწევებს, მუსიკის, ფერწერის, ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნების და კინოხელოვნების განვითარების ისტორიას.

„პრავდა უკრაინი"

ქართველი მწერლების ნაწარმოებები სომხურ ენაზე

წელს სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ დაიწყო მზადება ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიის გამოსაცემად. წიგნის ზომა 50 სასტამბო ფურცელი იქნება. ანთოლოგიაში შევა 95 ქართველი მწერლის ნაწარმოებები ! საუკუნით დაწყებული დღემდე: იოანე შავთელის ნაწარმოებთა ნიმუშები. შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტები, ბესიკის. დავით გურამიშვილის. ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის. ილია ჭავჭავაძის ჰავჭავაძის ლექსები. ილია ჭავჭავაძის პოეზია დ. პროზა. ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი თანამედროვე ქართველი პოეტები და პროზაიკოსები. თარგმნაზე მუშაობენ ს. კაპუტიკიანი, ა. სამანი. ვ. დავითიანი, მ. მარქარიანი, პ. სევაკი. ვ. ნორენცი. ს. ტ-რონცი და სხვა სომეხი მწერლები. წიგნი 1959 წელს გამოვა.

„ კომუნისტი" (ერევანი)

ლამაზი აგრა და გულგაცრუებული მომხმარებლები

ვაჭრობის თემაზე

ბაზალეთის ტბის მიდამოებში თუ გაივლით, შორიდანვე შეამჩნევთ პირდაპირ ტბაში აღმართულ მრგვალი ფორმის პავილიონს, რომელსაც ჯერ კიდევ ასდის ახალი საღებავის სუნი. პავილიონის მშენებლობა ამ ზაფხულისათვის უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამიტომ მუშაობა არც ზამთრის სუსხში შეუწყვეტიათ.

კარგი ნაგებობაა. ლაღი, ლამაზი, ძსუბუქი. მადლობის მეტი რა ეთქმით დუშეთის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს, რომლებმაც მოინდომეს და კიდევაც გააკეთეს სასარგებლო საქმე. მაგრამ ამავე დროს, გულში რაღაც არასასიამოვნო გრძნობა შეგეპარებათ, როცა იქვე მახლობლად, პავილიონიდან ერთ კილომეტრზე, სოფელ ჩანადირებში მიხვალთ.

„სოფლის მაღაზია" — ლამაზად აწერია აბრას, რომელიც გვერდზე გადახრილი ორსართულიანი სახლის კედელზე ჰკიდია. ერთი თვალს გადავლებით შეატყობთ, რომ მაღაზიის შენობა ყველაზე უღიმღამო და უხეიროა მთელ სოფელში.

შედიხართ მაღაზიაში და მაშინვე ნესტის სუნი გეცემათ. მიწის იატაკი ადგილ-ადგილ სველია, ეტყობა სახურავიდან წყალი ჩადმოდის. საქონელიც ულამაზოდ არის მიყრილ-მოყრილი. სიმართლე რომ ითქვას, აქ შეუძლებელიც არის რაიმეს წესრიგზე მოყვანა. მაღაზიის გამგეს მანია ჩანადირს ვეკითხებით: რაშია საქმე, ნუთუ სოფელში უკეთესი ბინა არ მოიძებნება?

—როგორ არა, ბინა მე თვითონ გამოვნახე, — გვიპასუხებს იგი.— მხოლოდ რემონტისათვის ცოტაოდენი ხე-ტყის მასალაა საჭირო. ვიყავი გამგეობაში, მაგრამ არ მომცეს.

მაღაზიის გამგის განცხადებით, აქ ყოველთვიურად გადაჭარბებით სრულდება საქონელბრუნვის გეგმები. მაგრამ მარტო ეს ხომ არა კმარა? მაღაზიაში არ მოიპოვება სეზონისათვის საჭირო საქონელი, როგორიც არის თბილი კურტაკები, შარვლები, ჩექმები, ქუდები, ხელთათმანები...

არის შემთხვევები, როცა საჭირო საქონელი მომხმარებლამდე ვერ აღწევს. მიმდინარე წლის სექტემბერში მაღაზიას რაიკავშირის მთავარ საწყობში არსებული საბუთით მიღებული აქვს 10 ცალი ხელის საკერავი მანქანა, სინამდვილეში მაღაზიამ მხოლოდ 2 მანქანა მიიღო. დანარჩენი სად წავიდა, არავინ იცის.

ასე მოხდა სოფელ ოძისშიც (მაღაზიის გამგე თ. ვარდუაშვილი). აქ მიმდინარე წლის აგვისტოში ფაქტურით მიღებულია 10 ცალი საკერავი მანქანა. სინამდვილეში ეს მანქანები მომხმარებლებს კი არა, თვითონ ნოქარსაც არ უნახავს. მან მხოლოდ მანქანების ღირებულება მიიღო.

— მოვიდა რაიკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე ნ. დათუაშვილი და მითხრა: დუშეთში საკერავი მანქანები პასუხისმგებელმა პირებმა შეიძინეს, უხერხულია საწყობიდან რაიმეს გაყიდვა და ამიტომ იძულებულნი ვართ აღნიშნული მანქანები თქვენ დაგაწეროთ, — აცხადებს თ. ვარდუაშვილი.

ოძისი დუშეთის რაიონში ერთ-ერთი მოზრდილი, კულტურულად მოწყობილი სოფელია. თვალსა და გულს ახარებს კოლმეურნეთა ლამაზი სახლები, საკოლმეურნეო ნაგებობანი, გიორგი ერისთავისეული სასახლე, სადაც ახლა კოლმეურნეობის კანტორა და მწერლის მუზეუმია. მთელი სოფელი რომ შემოიაროთ, ისეთ უბადრუკ შენობას ვერ იპოვნით. როგორიც მაღაზიის შენობაა. ცოტა ენერგიის დახარჯვა როდი მოუხდათ მჭადიჯვრის სოფლის კოოპერატივის ხელმძღვანელებს ოძისში ახალი მაღაზიის ასაშენებლად. ეს შენობა უკვე მზად არის, მაგრამ ვინაიდან ცეკავშირმა კრამიტი არ გამოჰყო, მაღაზია შიფერით გადახურეს, იყო შემთხვევა, როცა ქარმა ანალი სახურავი ნაწილობრივ გაფანტა.

ჩანს, ცეკავშირის მუშაკები საკმარისად არ უწევენ კონტროლს ახალი მაღაზიების მშენებლობის საქმეს. განა სამარცხვინო არ არის, მაღაზიის შენობა თვისი არქიტექტურით და გაფორმებით სოფელში სხვა შენობებისაგან სიცუდით გამოირჩეოდეს?

ამ ზაფხულს სოფელ ქვეშეთში მაღაზიის ახალი შენობა ააგეს. ჯერ-ერთი, იგი პირუტყვის სადგომს უფრო ჰგავს. ვიდრე კულტურულ სავაჭრო დაწესებულებას, მეორეც. შენობა ისეთი ნესტიანი გამოდგა. რომ იძულებული გახდნენ საქონელი სხვაგან გადაეტანათ. ეს მაშინ, როცა შენობის აგებაზე კარგა მოზრდილი თანხა დახარჯა.

სოფლის მაღაზიები ხშირად დაკეტილია. რატომ? იმიტომ, რომ ნოქრები თვითონ დადიან სოფლის კოოპერატივებისა და რაიკავშირის საწყობებში საქონლის მისაღებად, რაიკავშირის გამგეობა ზოგ შემთხვევაში არ ასრულებს დადგენილებას სავაჭრო ქსელში საქონლის მიტანის შესახებ.

ბევრ მაღაზიაში არ იგრძნობა ვაჭრობის კულტურა. ყურადღება არ ექცევა საქონლის მიმზიდველად ჩვენებას, ვიტრინების გაფორმებას. მაღაზიებში იშვიათად ნახავთ „შეკვეთის წიგნს". არის შემთხვევები, როცა შორეული სოფლების მაღაზიებში არა აქვთ ნავთი, მარილი, საპონი, შაქარი და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნები.

ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ დახლთან მუშაობა მექანიკური კი არა, არამედ შემოქმედებითი საქმეა, რომლისთვისაც საჭიროა დაუღალავი შრომა, გულისხმიერება, შესაფერი უნარი. გვახსენდება მოხუცი კოლმეურნის სიტყვები:

— შეხვალ ზოგ მაღაზიაში, და სალამის მაგივრად ნოქარი ისე შემოგხედავს. გეგონება რაიმე დაუშავეო. იყიდი რამეს, და გასახვევ ქაღალდს ვერ იშოვნი. ჩვენში ახალ ტანსაცმელს რომ შეიძენენ. ახლობლები ყოველთვის ეტყვიან: მშვიდობაში მოგახმაროსო. ზოგ ნოქარს ასეთ რამეს როგორ ათქმევინებ. ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა როდი აქვს. მაგრამ ტკბილი სიტყვა კაცს ყოველთვის ესიამოვნება.

სამომხმარებლო კოოპერაცია თავისი ბუნებით თვითმქმედი მასობრივი ორგანიზაციაა, რომლის მოღვაწეობაში მთავარ როლს თვით მომხმარებლები, მეპაიეები უნდა ასრულებდნენ. საბუნებრივია, რომ ვაჭრობის მუშაკებს მეპაიეები მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ. როცა საკითხი საპაიო გადასახადს ეხება. აღსანიშნავია, რომ ზოგი სადუქნო კომისია სრულ უმოქმედობას იჩენს.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები სერიოზულად უნდა ჩაუთიქრდნენ ამ ნაკლოვანებებს.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მეცნიერული ნაშრომი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საქართველოში მუშათა მოძრაობის ისტორიაზე

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ქართველ ისტორიკოსთა არა ერთი ნაშრომი, რომლებიც მეცნიერული ობიექტურობით აშუქებენ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ქართველი ხალხის ისტორიის ცალკეულ პერიოდებს.

ასეთ ნაშრომთა რიცხვს მიეკუთვნება სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ აკადემიკოს გ. ხაჭაპურიძის რედაქციით რუსულ ენაზე გამოცემული ნ. ა. ჩახვაშვილის მონოგრაფია „მუშათა მოძრაობა საქართველოში (1870-1904 წწ.)". დიდძალი საარქივო მასალების გამოვლინების გზით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება, ავტორმა შეისწავლა. გამოიკვლია და სათანადოდ დაასაბუთა მრავალი ახალი საკითხი საქართველოში პირველი რევოლუციის წინა პერიოდის მუშათა მოძრაობიდან. ახალი ფაქტებით გაამდიდრა და უფრო სრული გახადა ჩვენი წარმოდგენა ადრე ცნობილ მოვლენებზე.

წიგნი ხუთი თავისაგან შედგება.

პირველ თავში განხილულია ორი საკითხი: 1) მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის წარმოშობა საქართველოში; 2) საქართველოს მუშათა კლასის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, მრეწველობის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა ბატონყმობის გაუქმებამ. სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა ქალაქები, მრავლდებოდა ფაბრიკები და ქარხნები, შენდებოდა რკინიგზები, ბატონყმური რუსეთის ადგილს იჭერდა კაპიტალისტური რუსეთი, რომელიც საქართველოსაც ითრევდა განვითარების ორბიტაში.

ნაშრომში ნაჩვენებია პირველი კაპიტალისტური წამოწყებების — სამთო ქარხნების, მარგანეცისა და ქვანახშირის შახტების, რკინიგზის სახელოსნოების, ხე-ტყის სახერხი და ავეჯის ქარხნების, ბამბის, ფეხსაცმლის და თამბაქოს ფაბრიკებისა და სხვა საწარმოთა წარმოქმნა, სამრეწველო მოსახლეობის და კერძოდ სამრეწველო მუშათა რიცხვის განუწყვეტელი ზრდის პროცესი.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაშრომი გვაძლევს იმ წყაროების ირულ და ამომწურავ დახასიათებას, საიდანაც იქმნებოდა საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატი: ეს იყო უზნარეს ყოვლისა საქართველოს გლეხობა, რომელიც რეფორმის შემდეგ სწრაფად იშლება სხვადასხვა სოციალურ კატეგორიებად.

ახალ სიტყვას ამბობს ავტორი რეფორმისშემდგომი პერიოდის ქართველი გლეხობის დიფერენციაციის შესახებ. იგი ამ პერიოდის გლეხობას სამ ჯგუფად ყოფს: პირველს მიაკუთვნებს იმ გლეხებს, რომლებმაც მიწა-წყლის უქონლობის გამო სამუდამოდ დატოვეს სოფელი და ნამდვილი პროლეტარები. ფაბრიკა-ქარხნების მუშები გახდნენ. მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ის გლეხები, რომლებსაც სავსებით არ გაუწყვეტიათ კავშირი სოფელთან. ამ ჯგუფის გლეხები სოფლად ინარჩუნებდნენ პატარა მეურნეობებს. მაგრამ ვინაიდან ეს მეურნეობა ოდნავაც არ იყო საკმარისი ოჯახის შესანახად, ბიჯიოდნენ ქალაქებში სამუშაოს საშოვნელად. ისინი მუშებიც იყვნენ და გლეხებიც, ექსპლოატაციას განიცდიდნენ ქალაქადაც და სოფლადაც, მაგრამ პირველი ჯგუფის გლეხებისაგან განსხვავებით, მათ საშუალება ჰქონდათ მრეწველობაში კრიზისის დადგომის დროს სოფლისათვის შეეფარებინათ თავი და, პირიქით, სოფლად აუტანელი პირობების შექმნისას — ქალაქისათვის მიეშურებინათ. ამით ისინი ახორციელებდნენ კავშირს ქალაქსა და სოფელს, მუშებსა და გლეხებს შორის. ამ გარემოებამ იმთავითვე განაპირობა საქართველოს მუშათა მოძრაობის მტკიცე კავშირი გლეხთა მოძრაობასთან და მისდამი ხელმძღვანელი როლი. მესამე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ის გლეხები, რომლებიც, მიუხედავად ძმიმე და აუტანელი პირობებისა, სოფელს ვერ ტოვებდნენ, მუდმივი მენადელეები ან კაპიტალიზმის გზაზე დამდგარ მემამულეთა, საუფლისწულო, საეკლესიო-სამონასტრო და სხვა მამულების მუშები ხდებოდნენ.

ნაშრომში სპეციალურად არის შესწავლილი ქალთა, მოზარდთა და ბავშვთა შრომა, რომელსაც, როგორც უფრო იაფს, თავიდანვე ფართოდ იყენებდნენ საქართველოში არსებულ კაპიტალისტურ საწარმოებში.

საინტერესო მუშაობა გაუწევია მკვლევარს საქართველოს მუშათა ეროვნული შემადგენლობის, კერძოდ საქართველოს საწარმოებში რუსი მუშების ხვედრითი წონისა და მათი როლის შესასწავლად რევოლუციურ მოძრაობაში. ავტორს ბევრი ახალი მასალა აქვს მოყვანილი რევოლუციამდელ საქართველოში მუშათა მძიმე ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის დასახასიათებლად.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საქართველოში მუშათა მოძრაობის ჩასახვა და მისი განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში მარქსიზმის გავრცელება და პირველი მარქსისტული წრეების და ორგანიზაციების მუშაობა.

შრომაში წარმოდგენილია დღემდე უცნობი საინტერესო საარქივო მასალები, რომლებიდანაც მტკიცდება, რომ მუშათა სტიქიურ ეკონომიურ გაფიცვებში წამყვან, აქტიურ როლს თამაშობდნენ რუსი მუშები, რომლებიც გადმოსახლებული იყვნენ აქ რუსეთის სამრეწველო ცენტრებში მომხდარ გაფიცვებში მონაწილეობისათვის.

სარეცენზიო წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდასა და ორგანიზატორულ მუშაობას პირველ სოციალ-დემოკრატიულ წრეებსა და ჯგუფებში ქართველ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან ერთად (ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, მ. ბოჭორიძე, ზ. ჩოდრიშვილი და სხვ.) ეწეოდნენ რუსი მუშები და რუსი სოციალ-დემოკრატები.

ამავე თავში დაწვრილებით არის მოთხრობილი იმ დიდი დამსახურების შესახებ, რაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციისა და საქართველოს მუშათა მოძრაობის წინაშე მიუძღვიან მ. კალინინს და ვ. კურნატოვსკის.

წიგნის მესამე თავში — „საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის აშენების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის — დაწვრილებით არის განხილული თბილისის, ბაქოს, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოს და სხვა ლენინურ-ისკრული კომიტეტების, აგრეთვე მათი გამაერთიანებელი ორგანოსა და ხელმძღვანელი ცენტრის — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ჩამოყალიბება, მათი მჭიდრო კავშირი საზღვარგარეთის ცენტრთან და პირადად ვ. ი. ლენინთან.

წიგნის მეოთხე და მეხუთე თავები მიძღვნილია 1901-1904 წლებში საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის დახასიათებისადმი. თბილისის მუშათა 1901 წლის სამაისო (22 აპრილის) დემონსტრაციით, რომელსაც ლენინურმა „ისკრამ" მთელი კავკასიისათვის „ისტორიულად დირსშესანიშნავი" მოვლენა უწოდა, 1902 წელს ბათუმის მუშათა დემონსტრაციით და საბარაკადო ბრძოლებით, 1903 წელს თბილისის მუშათა ჩაბმით სამხრეთის მუშათა საყოველთაო გაფიცვაში და მთელი რიგი სხვა გამოსვლებით საქართველოს მუშათა კლასი ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წინ მტკიცედ ამოუდგა გვერდში მთელი რუსეთის პროლეტარიატს.

ავტორს ამოცანა დაუძლეავია, მაგრამ ნაშრომს აქვს ნაკლოვანებებიც. 112-ე გვერდზე ნათქვამია, რომ კ. მარქსის „კაპიტალი" რუსულ ენაზე ადრე ითარგმნა, ვიდრე „ზოგიერთ ევროპულ ენაზე" ნამდვილად კი „კაპიტალი" მსოფლიოს ყველა ენათაგან რუსულ ენაზე ყველაზე პირველად ითარგმნა და გამოიცა, რაც ხაზს უსვამს ვ. ი. ლენინის მიერ არაერთხელ აღნიშნულ იმ ჭეშმარიტებას, რომ „მარქსიზმის, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორიის" ძიების პროცესი რუსეთში უფრო შეუპოვარი იყო, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში. არ არის ზუსტი, თითქოს XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რუსეთის საწარმოებში „გაფიცული მუშათა რიცხვმა რამდენიმე ასეულ ათასს გადაჭარბა" (გვ. 90). ამდენი გაფიცული საწარმოებში არ ყოფილა არათუ 70-იანი წლების ბოლოს, არამედ არც 80-იან წლებში. მხოლოდ 90-იანი წლების პირველ ნახევარში მიაღწია რუსეთში გაფიცულ მუშათა რიცხვმა 177 ათასს.

ზუსტად ვერ ჩაითვლება ავტორის მიერ მუშათა მოძრაობის დასაწყისად 70-იანი წლების აღიარება, ამის მიხედვით სრულიად უგულებელყოფილია თბილისის არსენალის მუშათა 1869 წლის გაფიცვა, რომელმაც მაშინდელი საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მოვლენა, რომელიც ამ გაფიცვას უსწრებდა წინ.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზ

საზღვარგარეთ

გერლინი უნდა დაუბრუნდეს გერმანელ ხალხს

ოკუპანტთა თარეში სამხრეთ კორეაში

თავისუფლებისმოყვარე ერაყელი ხალხი გმობს იმპერიალისტთა ხრიკებს

ცნობილი გერმანელი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერის გარდაცვალება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

პეკინი, 21 დეკემბერი. (საკადესი). სინხუას სააგენტომ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 21 დეკემბრის განცხადება ბერლინის საოკუპაციო სტატუსის ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადების მხარდასაჭერად.

ამას წინათ, ნათქვამია განცხადებაში, საბჭოთა მთავრობამ ნოტებით, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გაეგზავნათ, მოითხოვა ბერლინიდან გაეყვანათ უცხოეთის ჯარები და მოეხდინათ ბერლინის საოკუპაციო სტატუსის ლიკვიდაცია. ეს არის საბჭოთა მთავრობის ახალი დიდმნიშვნელოვანი და დიდი ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს გერმანიის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებასა და ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებას. ბერლინი უნდა დაუბრუნდეს გერმანელ ხალხს. ეს არის სამართლიანი ღონისძიება, რომელიც შეეფერება მთელი გერმანელი ხალხის ძალწრაფებასა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს. საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა მთავრობის კეთილშობილურ მისწრაფებასა და ინიციატივას მშვიდობის დაცვისათვის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ამ რაციონალურ წინადადებას.

უკვე ცამეტი წელი და მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ომი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. მაგრამ დღემდე მთელი გერმანია და მისი დედაქალაქი ბერლინი ჯერ კიდევ ოკუპაციისა და გათიშვის მდგომარეობაში არიან. ეს განსაკუთრებით არარაციონალური და არანორმალური მოვლენაა. ცამეტი წლის ისტორია მთელი სიცხადით მოწმობს, რომ პასუხისმგებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასეთი არანორმალური მდგომარეობისათვის ეკისრებათ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს. მათ არაერთგზის უთქვამთ უარი კონსტრუქციულ წინადადებებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ წამოაყენეს გერმანიის საკითხის რაციონალური გადაჭრის მიზნით. ისინი მუდამ დაჟინებით მოითხოვდნენ— გერმანია გაერთიანდეს დასავლეთ გერმანიის მიერ დემოკრატიული გერმანიის ანექსიის გზით. მათი ძლიერი მხარდაჭერითა და დახმარებით, განსაკუთრებით ამერიკელ იმპერიალისტთა მხრივ, მილიტარიზმი დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში აღორძინდა. უფრო მეტიც, ისინი, ბოროტად იყენებენ რა საოკუპაციო რეჟიმს ბერლინში, დასავლეთ ბერლინი გადააქციეს „საფრონტო ქალაქად“ დემოკრატიული გერმანიის ტერიტორიაზე და ბაზად, რომლის დახმარებითაც ეწევიან ცივ ომს, ქმნიან ძაბებულ ვითარებას და ეწევიან ძირგამოთხრილ და დივერსიულ საქმიანობას დემოკრატიული გერმანიისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა უკვე დიდი ხანია უაღრესად უხეშად დაარღვიეს თავიანთი მოქმედებით პოტსდამის შეთანხმების ძირითადი პრინციპები, ამიტომ მათ სავსებით დაკარგეს ყოველგვარი იურიდიული საფუძველი დასავლეთ ბერლინის თავიანთი ოკუპაციისათვის. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობის მიერ ამას წინათ წამოყენებულ წინადადებას ბერლინიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისა და ბერლინის საოკუპაციო სტატუსის ლიკვიდაციის შესახებ მხურვალე მოწონებით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანელი ხალხი და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები. ადამიანებს შეუძლიათ ნათლად დაინახონ, რომ საბჭოთა მთავრობის ამ წინადადების განხორციელება ხელს უწყობს არა მარტო მდგომარეობის ნორმალიზაციას ბერლინში, არამედ აგრეთვე ორი გერმანიის ურთიერთგაგებისა და თანდათანობით დაახლოების განვითარებას. არავითარი ეჭვი არ არის, ეს უსათუოდ სარგებლობას მოუტანს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, დაიბნენ საბჭოთა მთავრობის წინადადების გამო. ისინი ცდილობენ გამოძებნონ ყოველგვარი საბაბი, რათა უარყონ საბჭოთა მთავრობის ეს რაციონალური წინადადება. ისინი იქამდეც კი მივიდნენ, რომ საერთაშორისო ატმოსფერო მოწამლეს ხმაურით ომის შესახებ. თავიანთი ბნელი განზრახვების მისაჩქმალავად, რომელთა მიზანია დასავლეთ ბერლინის ხანგრძლივი ოკუპაცია, მათ მთელი ძალით ჩასჭიდეს ხელი სრულიად უსაფუძვლო და უაზრო მტკიცებას, თითქოს ბერლინის საკითხის გადაჭრა უსათუოდ უნდა დაუკავშირდეს გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაჭრას. ფაქტები მთელი სიცხადით გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება ბერლინის საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციის შესახებ მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს არსებული ორი გერმანიის თანდათანობით დაახლოებას გარედან ჩაურევლად და ამით ხელს უწყობს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას. თუ დასავლეთის ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი, განაგრძობენ თავიანთ შუბმაგარ პოზიციაზე დაჟინებით დგომას, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ მათ არა აქვთ არავითარი გულწრფელობა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. ითვალისწინებს რა თავის თანმიმდევრულ პოზიციას გერმანიის საკითხში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას და გადაჭრით მიიჩნია, რომ ბერლინის საოკუპაციო რეჟიმი ლიკვიდირებულ უნდა იქნეს, ბერლინი უნდა დაუბრუნდეს გერმანელ ხალხს, მოკავშირეთ უნდა იქნეს ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც წამლავს ევროპის მშვიდობას.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს არა აქვთ საფუძველი უარყონ საბჭოთა კავშირის მთავრობის გონივრული და რაციონალური წინადადება.

იმპერიალისტურ შეთქმულებათა წინააღმდეგ

ბაღდადი, 23 დეკემბერი. (საკადესი). ამას წინათ ერაყში აღმოაჩინეს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება, რომელმაც ერაყის საზოგადოებრიობის ფართო წრეების ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. ამ დღეებში ქალაქ ნეჯეფში ერაყელმა მშვიდობის მომხრეებმა მოაწყეს ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც ერაყის ყველა კუთხიდან ჩასული რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა — მუშებმა, სტუდენტებმა, მწერლებმა, თვალსაჩინო საზოგადო და რელიგიურმა მოღვაწეებმა დაგმეს უცხოელ იმპერიალისტთა ონები ახლო აღმოსავლეთში, მათი ცდები დაარღვიონ მშვიდობა ამ რაიონში.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა, ერაყის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ადვოკატმა აზიზ შერიფმა. მან ილაპარაკა, თუ რა ამოცანებია დასახული ერაყელ მშვიდობის მომხრეთა წინაშე უცხოელი იმპერიალისტების ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენს მოძრაობაში, — განაცხადა აზიზ შერიფმა, — მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა პატიოსანმა პატრიოტმა, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და თავისუფლება, იმპერიალიზმისა და ომის ყველა მტერმა, მიუხედავად მათი პოლიტიკური და კლასობრივი ინტერესებისა“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს სხდომა

ჰელსინკი, 22 დეკემბერი. (საკადესი). გუშინ აქ გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი აღმასრულებელი კომიტეტის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ, რომლებიც მიღებულია მის 19-20 დეკემბრის სხდომაზე.

სამდივნომ გადაწყვიტა მიიღოს ღონისძიებანი, რათა მსოფლიო მასშტაბით გაფართოვდეს ბრძოლა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის.

სამდივნომ განიხილა, გარდა ამისა, საკითხი, რომ თებერვალში მოსკოვში მოეწყოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს აღმასკომის სხდომები. ამასთან სამდივნო იმას ითვალისწინებდა, რომ მომავალი წლის მაისში სტოკჰოლმში გაიმართება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია.

კორეა-ჩინეთის მხარის პროტესტი

ფხენიანი, 22 დეკემბერი. (საკადესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, გენერალ-მაიორმა კან სან ხომ, კორეა-ჩინეთის მხარის უფროსმა წარმომადგენელმა დაზავების სამხედრო კომისიაში, კორეის დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური ქვეყნების კომისიას გუშინ გაუგზავნა ყერილი, ოთმელშიც გამოთქმულია ძლიერი პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ სამხრეთ კორეაში შეიტანონ სხვადასხვა ამერიკული იარაღი.

როგორც წერილში ხაზგასმულია, ამერიკული ძალთული ყუმბარებისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის შეტანა სამხრეთ კორეაში „პროვოკაციული აქტია“, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის კორეის საკითხთა გადაჭრას და შორეული აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას“. შემდეგ წერილში გაკვთქმულია მტკიცე პროტესტი დაზავების შეთანხმების აღმაშფოთებელი დაღვევის წინააღმდეგ და მტკიცე მოთხოვნა დაუყოვნებლივ გაიტანონ სამხრეთ კორეიდან ახალი ტიპის მთელი ამერიკული იარაღი და მასობრივი მოსპობის იარაღი, მათ შორის მართული ყუმბარები „მატადორი“.

სამხრეთ კორეაში აღშფოთებული არიან ამერიკის სამხედრო მოსამსახურეთა უმსგავსობით

პეკინი. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, სამხრეთ კორეაში ძლიერდება აღშფოთება ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა უმსგავსობის გამო. განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია იმან, რომ 14 დეკემბერს ამერიკელმა ჯარისკაცმა ერთი კოლეელი მოკლა. გათავხედებული ოკუპანტების ქცევის გამო უკმაყოფილებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ლი სინ მანის ხროვის წარმომადგენელნიც კი იძულებული არიან მოითხოვონ რაც შეიძლება მალე დაიდოს შეთანხმება ამერიკის ჯარების სტატუსის შესახებ სამხრეთ კორეაში.

ლსინმანელთა გაზეთი „სეგე ილბო“ აღიარებს, რომ, მაშინ როცა ამერიკელების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რაოდენობა დღითიდღე იზრდება, მოლაპარაკებას ამერიკის ჯარების სტატუსის შესახებ სამხრეთ კორეაში, რაც სამი წლის წინათ დაიწყო, დღემდე არ მოჰყოლია რაიმე შედეგი.

ყოველ გაპარჭვებას თან სდევს სიხარული, აღფრთოვანება, სიამაყის გრძნობა. და არაფერია გასაკვირი, იმაში, რომ ჩვენს მოჭადრაკეებსაც სახეზე სიხარულ ის იერი გადაჰკრავთ. ისინი ხომ გაპარჭვებული ბრუნდებიან სამშობლოში. **სურათზე:** მარცხნიდან — ა. ჩაიკოვსკაია, მ. ტოგონიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქ. გოგიავა, ე. კაკაბაძე ხარკოვიდან თბილისში გამომგზავრების წინ.

★ ★ ★

ნ. გაფრინდაშვილი და ა. ჩაიკოვსკაია— საბჭოთა კავშირის ნაკრებში

უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ასპარეზობა ხარკოვში დამთავრდა. გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

ორი გადადებული პარტიიდან ორივე ყაიმით დამთავრდა. ეს შედეგები ფიქსირებულ იქნა ო. რუბცოვა — თ. სტრანდსტრემისა და ე. ბიკოვა — ვ. ტიხომიროვას პარტიებში.

შეჯიბრების დახურვის საღამოზე ნ. გაფრინდაშვილს საზეიმოდ გადაეცა ბრინჯაოს მედალი. გაზეთ „ვრასნოე ზნამიას“ ჯილდოები ლამაზი პარტიისათვის და ბოლო 6 ტურში უკეთესი შედეგებისათვის მიიღეს ე. კაკაბაძემ და ა. ჩაიკოვსკაიამ.

საქართველოდან სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეყვანილია ნ. გაფრინდაშვილი და ა. ჩაიკოვსკაია. ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე დაშვებულ იქნებიან მომავალი საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალებში.

რედაქციამ თხოვა შეჯიბრების მთავარ მსაჯს ტ. კრიუკოვას და მსოფლიოს ექსჩემპიონს ო. რუბცოვას გამოეთქვათ აზრი საქართველოს მოჭადრაკეთა შესახებ. ქვემოთ ვბეჭდავთ მათ წერილებს.

საქართველოს მოჭადრაკეთა დიდი გამარჯვება

ჯერ კიდევ XX ჩემპიონატის პირველი ნახევრის მიჯნაზე თქვენს გაზეთში აზრი გამოვთქვი იმის შესახებ, რომ — თუ ნ. გაფრინდაშვილს ასეთ დიდ ასპარეზობაში ნებისყოფა და გამძლეობა ეყო, იგი უთუოდ ხუთეულში მოხვდება. სახეხარულია, რომ ნ. გაფრინდაშვილმა იმედები გაამართლა.

ეშვგარეშეა — ბოლო ტურებში ნ. გაფრინდაშვილისათვის ავადმ ყ ოფ ობ ას რომ არ შეეშალა ხელი, ჩვენ სულ სხვა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებოდით. ამ მზარდ მოჭადრაკეში უპირველეს ყოვლისა იგრძნობა მაღალი ბრძოლისუნარიანობა, სიმტკიცე, სწრაფვა მხოლოდ გამარჯვებისაკენ. შორს ნუ წავალთ, თვალი გადავავლოთ მის მაჩვენებლებს, გავარჩიოთ პარტიები. ნ. გაფრინდაშვილი ჯერ კიდევ როდია თავის შესაძლებლობათა ზენიტში. სისტემატური წვრთნით, საჭადრაკო ხელოვნების სიახლეთა დაუფლებით, სადებიუტო რეპერტუარის გაფართოებით, იგი უფრო მაღალ შედეგებს მიაღწევს.

მინდა ვილაპარაკო საერთოდ ქართველ მოჭადრაკე ქალებზე. ის ფაქტი, რომ XX ჩემპიონატში საქართველოდან მონაწილეობას ღებულობდა 4 მოჭადრაკე, ეს თავისთავად დიდი გამარჯვებაა და მოწმობს იმას, რომ სპორტის ეს სახეობა რესპუბლიკაში ახალი აღმავლობის გზაზე დგას. ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე საჭადრაკო საზოგადოებრიობისათვის უკვე ცნობილია და მათგან მეტი რომ მოვითხოვოთ, გასაკვირველი არაფერი იქნება. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ ა. ჩაიკოვსკაიაზე, რომელიც პირველად გამოვიდა ასეთი დიდი ჩემპიონატის ფინალში, მან უთუოდ მოლოდინს გადააჭარბა.

სპორტსმენები, მათ შორის მოჭადრაკეები შეჯიბრებაში იწრთობიან და გამოცდილებას იძენენ. საჭიროა საქართველოს მოჭადრაკეებმა ფიზკულტურის და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის დახმარებით ხშირად მოაწყონ სხვადასხვა სახის შეჯვედრები — ტურნირები, ამხანაგური მაჩრები, საქალაქთაშორისო ასპარეზობები.

ტ. კრიუკოვა,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

მოდის ჩვენი ღირსეული ცვლა

სასიხარულოა, რომ მოდის მოჭადრაკე ქალთა ღირსეული ცვლა. ამ ჩემპიონატში იგრძნობოდა მათი ძალა. ხშირად გაიგებთ ასეთ გამოთქმას — ახალგაზრდობა თუ გამოცდილება? მე ვიტყოდი — საჭურველია ორივე.

ამ ჩემპიონატში ახალგაზრდობამ, პირველ რიგში ნ. გაფრინდაშვილმა, ტ. ზატულოვსკაიამ, ა. კუშნირმა, ა. ჩაიკოვსკაიამ და სხვებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს, საჭადრაკო ხელოვნების მწვერვალებისაკენ მათი გზა გახსნილია.

საქართველოს მოჭადრაკეთა შედეგები საამაყოა. უფროსი თაობის მოჭადრაკეები მოხარული არიან ნონას წარმატებით და ახალ აღმავლობას უსურვებენ მას.

ო. რუბცოვა,
მსოფლიოს ექსჩემპიონი.

„კომუნისტის“ მუშა-სოფლკორთა კაბინეტი

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 24 დეკემბერს, დღის 4 საათზე თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კულტურის სახლში აწყობს მუშხოფლკორთა და ძველი ეგრეული პრესის მუშაკთა თათბირს საკითხზე: „მზადება სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შესახებ ვედრად და მუშსოფლკორთა ამოცანები“.

*** * ***

24 დეკემბერს, დღის 3 საათზე ქ. რუსთავში, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატში აწყობს მუშკორებთან და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრებთან საუბარს თემაზე: „პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და მუშკორთა ამოცანები“.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 31 დეკემბერს
აბონემენტს გარეშე
პრემიერა
ი. გოკიელი
ზეთელაუდა
საბავშვო ოპერა
3 მოქმედებად და 5 სურათად
ლიბრეტო პეროს ზღაპრის
მოტივების მიხედვით
სტალინური პრემიის ლაურეატის
პოეტ გრიგოლ აბაშიძისა
დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე,
დადგმა რეჟისორების გ. გაჩეჩილაძისა და უ. დარჩიასი, მხატვარი
ი. ასკურავა, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცეკვების დამდგმელი
ზურაბ კიკალეიშვილი, რესპუბლიკის
სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, დადგმის მხატვრული
ხელმძღვანელი, თეატრის მთავარი
რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.
ბილეთები იყიდება.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია
საზამთრო თეატრი
(პლეხანოვის პროსპ. № 123)
27 და 28 დეკემბერს
„ნაცნობი სახეები“
საესტრადო სპექტაკლი
2 განყოფილებად
მონაწილეობენ: ნ. მოსეშვილი, ვ. ძაგნიძე, შ. ჩხიკვაძე, თ. მაისურაძე, ე. წოწორია, გ. ჭუმბაძე.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები იყიდება.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სპექტაკლები მოსწავლეთათვის ზამთრის არდადეგების დღეებში
ხუთშაბათს, 1 იანვარს
მე-5 აბონ. 1-ლი სპექტაკლი
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ი. მოროზოვი
ექიმი აიგოლიტი
პარასკევს, 2 იანვარს
მე-2 აბონ. მე-2 სპექტაკლი
უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ბ. ჩაიკოვსკი
ევგენი ონეგინი
შაბათს, 3 იანვარს
მე-2 აბონ. მე-3 სპექტაკლი
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ი. გოკიელი
ზეთელაუდა
კვირას, 4 იანვარს
მე-2 აბონ. მე-3 სპექტაკლი
უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ბ. ჩაიკოვსკი
გედის ტბა
სამშაბათს, 6 იანვარს
1 აბონ. მე-2 სპექტაკლი
უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ზ. ფალიაშვილი
დაისი
ოთხშაბათს, 7 იანვარს
მე-3 აბონ. მე-3 სპექტაკლი
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ი. გოკიელი
ზეთელაუდა
შაბათს, 10 იანვარს
1 აბონ. მე-3 სპექტაკლი
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ი. მოროზოვი
ექიმი აიბოლიტი
კვირას, 11 იანვარს
მე-4 აბონ. მე-3 სპექტაკლი
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ი. გოკიელი
ზეთელაუდა
ყველა გამოცხადებულ სპექტაკლზე იყიდება აბონემენტები და ბილეთები თეატრის სალაროებში და თეატრის რწმუნებულთა მეშვეობით.
დასაწყისი დღის 12 საათზე.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა (მე-3 აბონ. მე-5 სპექტაკლი), მარჯანიშვილის სახელობის — სამსახეობა რაინდისა, გრიბოედოვის სახელობის — ღეთის მოშიში მართა, სანკულტურის — ერთი ოჯახის ისტორია, სომხური დრამის — ხათაბალა (აბონ. № 9), მოზარდ მაყურებელთა ქართული — შავი ბიჭი (აბონ. № 29, 4 ს.), თოჯინების ქართული — დიდი ივანე (11 ს.), ბრაზიანი მეზობლები (2 ს.).

დისერტაციების დაცვა
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1959 წ. 7 იანვარს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი ნიკოლოზის-ძე მჭედლიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ზეპირი მეტყველების შეცდომების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“.

1959 წ. 7 იანვარს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ოთარ შალვას-ძე გვინჩიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „XVIII საუკუნის დამლევის რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიიდან — ძმები ევგრაფი და პეტრე გრუზინოვები“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ვახტანგ გორგასლის პორტრეტის დადგენისათვის

შ. ამირანაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ბრიტანეთის მუზეუმის გემათა უმდიდრეს კოლექციაში დაცულია სასანური ეპოქის ერთი პორტრეტული გემა, რომელზეც გამოსახულია გვირგვინოსანი მამაკაცი პროფილით. მისი ვინაობა, მიუხედავად ფალაურ-სასანური წარწერისა, ზუსტად არ არის დადგენილი. ჰ. ჯორნს თავის ნარკვევებში ბრიტანეთის მუზეუმის სასანურ გემათა შესახებ მოკლედ აქვს ნახსენები ეს ფალაური წარწერა, რომელიც ძველი ებრაული ტრანსკრიპციით ასე იკითხება — „ვრთანგი“. მისი აზრით, ეს უნდა იყოს სომხური ან პართული სიტყვა ჩემი თხოვნით ბატონმა ბ. რობინზონმა და ბრიტანეთის მუზეუმის დასავლეთ აზიის სიძველეთა განყოფილების გამგემ ბატონმა ბარნეტმა გამომიგზავნეს აღნიშნული გემას ზუსტი ანაბეჭდი, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ მათი. გემა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ წარწერის შინაარსი და გემაზე გამოსახული გვირგვინოსნის ვინაობა.

ჩვენის აზრით ამ გემაზე გამოსახული უნდა იყოს ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი, ვინაიდან სახელის ამგვარი ფორმა სასანური ხანის დამწერლობის ძეგლებში ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის შესახებ გვაწვდის მეტად საყურადღებო ცნობას: „კუალად ეევდრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუხტ, რათა მისცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა და შვა ძე, და უწოდა სახელი მისი სპარსულად ვარან-ბუასრო-თანგ, ხოლო ქართულად უწოდა ვახტანგ“.

მართლაც, მატიანეს ცნობა ვახტანგ მეფის სრული სახელის შესახებ სავსებით ეთანხმება სპარსულ ენობრივ ნორმებს.

უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ იკონოგოგოფიულ სქემას და გვირგვინის ფორმას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ხანის ხელოვნებაში. ჯერ კიდევ ჰერცფელდმა პირველმა შეამჩნია, რომ თავის მიმართულება პართულ და სასანურ მონეტებზე განსაზღვრავს მმართველის პოლიტიკურ წონას. მარცხნით მიბრუნებული თავით გამოსახულია ისეთი ვასალური მეფე, რომელსაც არ ჰქონდა უფლება მოეკრა საკუთარი მონეტა, მარჯვნივ მიბრუნებული თავი კი აღნიშნავს გამგებლის სრულ დამოუკიდებლობას.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გვირგვინის ფორმას ჩვენი გემას დათარიღებისათვის, განსაკუთრებით კი მასზე გამოსახული პიროვნების ვინაობის დადგენისათვის. სასანელ მეფეთა გვირგვინები კარგად არის ცნობილი კლდეში ნაკვეთი რელიეფებით, განსაკუთრებით კი სასანური მონეტების მიხედვით. მხატვრულად აღწერა ვახტანგ მეფის „ჩაბალახი“ (მუზარადი) მისი მეფობის ისტორიკოსმა ჯუანშერმა. ჯუანშერის მოთხრობიდან ჩანს, რომ ვახტანგ მეფის „ჩაბალახზე“ (მუზარადზე) და არა გვირგვინზე გამოსახული ყოფილა წინიდან მგელი, ქართველი ხალხის უძველესი ხანის ტომობრივი ტოტემი, რომელსაც უპირატესობა ჰქონია ლომის გამოსახულების წინაშე.

როგორც აღვნიშნეთ, გემაზე გამოსახულია გვირგვინოსანი მამაკაცი პროფილით მკერდამდე; თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული; სწორად გადავარცხნილი ხშირი თმა შეკრულია დიადემის ფორმის ორრკალიანი გვირგვინით, რომელსაც უკან აქვს ხუთ ფოთლოვანი ვარდის მოყვანილობის სამკაული. ძველი ტრადიციის თანახმად, ბიუსტი გამოსახულია პირდაპირ, ხოლო თავი პროფილით. კისერს ამშვენებს ყელსაბამი და საყურე. საერთოდ, პორტრეტულ გამოსახულებას უეჭველად ახასიათებს რეალიზმის ნიშნები.

პორტრეტული გამოსახულების მჭვრელს მიზნად ჰქონია მოეცა შედარებით მაღალი, მკვეთრი რელიეფი, ღრმად ამოკვეთის საშუალებით. გამოსახულებას ახასიათებს გასაოცარი სიცოცხლე და ჭეშმარიტი რეალიზმი. ვინ იყო ოსტატი, რომელმაც დაგვიტოვა შესანიშნავი გამოსახულება სახელოვანი ქართველი მეფისა, ვისი პიროვნება და მოღვაწეობაც უხვად არის შემკული ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში? მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურ მონაპოვარში აღმოჩენილია მრავალი პორტრეტული გემა და კამეა, რომლებიც გამოსახავენ იბერიის მმართველ წრეებს, დიდი თანამდებობის პირებს, მათი ოჯახების წევრებს. აღნიშნული მასალის მეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ გარკვეული ჯგუფი ძეგლებისა, რომლებიც შესრულებულია ადგილობრივი ქართველი ოსტატების მიერ. ამ ძეგლების მხატვრულ-ისტორიული შესწავლა, რასაც მხოლოდ ბოლო დროს შეექმნა მეცნიერული საფუძველი, გვაძლევს განვითარების ისტორიული ხაზის დადგენის საშუალებას.

ჩვენს მიერ გარჩეულ პორტრეტულ გემას აქვს მთელი რიგი ისეთი ნიშნები ჭრის მანერასა და მხატვრული ფორმის გადმოცემაში, რომლებიც განეტიკურად აკავშირებს მას ასპარუგ პიტიახშის, დინაქე დედოფლის და აშუშა პიტიახშის გემათა ჯგუფთან და ქმნის ხელოვნების განვითარების ერთ ისტორიულ ხაზს. ამ დებულებას ზურგს უმაგრებს ფალაური წარწერის ანალიზი, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი. ამრიგად, ვახტანგ გორგასლის პოორტრეტული გამოსახულება შესრულებული უნდა იყოს ჩვენში ქართველი ოსტატის მიერ დიდებული მეფის სიცოცხლის დროს. უშუალო შთაბეჭდილებით.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90. ხოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა შშენებლობის, ორესპონდენტთა: ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-88, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24. საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამოშვების — 3-81-65

УЭ 08207 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3